fidh

ცხოვრება ზღვარზე: დაზარალებულები დამნაშავეთა პასუხისმგებლობის ძიებაში

2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარე ზეგავლენა დაზარალებულებზე

თებერვალი 2018 / N° 708a

ფოტო გარეკანზე: ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი (ABL) გუგუტიანთკარიდან.
ფოტოზე მიღებული სურათი 2017 წლის 29 ივნისს.
© HRIDC-FIDH

სარჩევი

შესავალი
ანგარიშის მოკლე შინაარსი და პროექტის დასაბუთება 5
მეთოდოლოგია 6

I - წინაისტორია: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი 9
1) საწყისი ეტაპები 9
2) 2008 წლის აგვისტოს ომი 11
3) 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ 11

II - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) გამოძიება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებზე 13
1) ICC-ის წინასწარი მოკვლევა საქართველოში 13
2) ICC-ის გამოძიების ფარგლები საქართველოში 14

III - 2008 წლის ომის ზეგავლენა დაზარალებულებზე: ცხრა წლის შემდეგ ... 18
1) ეროვნული მექანიზმების ნაკლებობა და ICC-ის ჩართვის საჭიროება 18
2) დაზარალებულთა გაზრდილი მოწყვლადობა 20
3) ცხოვრება შიშსა და საფრთხეში 23
4) დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და გარემოს ზიანი 27

IV - საქმეების მიმოხილვა 32
საქმე 1: დევნილები ომიდან ცხრა წლის მერე (ბერბუკის დევნილთა დასახლება) 32
საქმე 2: უგზოუკვლოდ დაკარგული (სოფელი ქორდი) 33

V - სამართლიანობის აღდგენის იმედი: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების გავლენა 2008 წლის ომის მსხვერპლებზე 35

დასკვნები და რეკომენდაციები 37

დანართი 42

შესავალი

ანგარიშის მოკლე შინაარსი და პროექტის დასაბუთება

წარსულში განხორციელებული მისიებისა და შეფასებებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ (FIDH) და მისმა წევრმა ორგანიზაციამ საქართველოში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა (HRIDC), განახორციელეს ფაქტების დამდგენი მისია საქართველოში, 2017 წლის 26 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით, რათა შეეფასებინათ, თუ რა ზეგავლენა მოახდინა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილმა დანაშაულებმა დაზარალებულებზე. იმედი გვაქვს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის ზეგავლენის გამოკვლევა ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) მიერ საქართველოში ამჟამად მიმდინარე გამოძიებას, რომელიც 2016 წლის იანვარში დაიწყო 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილ სავარაუდო საერთაშორისო დანაშაულებთან დაკავშირებით[1].

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის მისიის წევრები შეხვდნენ 34 ადამიანს 10 სოფელში, საქართველოსა და *დე ფაქტო* სამხრეთ ოსეთს შორის არსებული ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის[2] ახლოს და გორის მუნიციპალიტეტში არსებულ დევნილთა ერთ ჩასახლებაში. ფედერაციასა და ცენტრს დაზარალებულებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ, 2008 წლის ხუთდღიანი ომის ზეგავლენა მათზე დღემდე ვრცელდება. დაზარალებულები დღემდე ცხოვრობენ ძალიან სახიფათო სიტუაციაში, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ელოდებიან სამართლიანობის აღდგენასა და რეპარაციებს იმ ზიანისათვის, რაც მიიღეს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და რომლის შედეგები დღემდე გრძელდება.

ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიის“ ანგარიშის თანახმად, 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად 850 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 100 000-მა ადამიანმა მიატოვა საკუთარი საცხოვრებელი. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად 412 ადამიანი დაიღუპა, რომელთა შორის 228 იყო სამოქალაქო პირი, 170 - სამხედრო და 14 - პოლიციელი; დაიჭრა 1747 ადამიანი, დაიკარგა 10 სამხედრო პირი და 14 პოლიციელი. რუსეთის ფედერაციის ინფორმაციით, კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 162 ეთნიკურად ოსი პირი, დაიჭრა 255 პირი, დაიღუპა 48 სამხედრო პირი და დაიჭრა 162 პირი. სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ხელისუფლების მონაცემებით, შეირაღებული კონფლიქტის შედეგად სულ 365 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, სამოქალაქო პირები და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული *დე ფაქტო* ძალების წარმომადგენლები[3].

დაზარალებულებმა ასევე ზიანი განიცადეს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შედეგად, როგორიც არის, საკუთრების განადგურება, მაროდიორობა და დევნა ეთნიკურ ნიადაგზე.

ბევრი დაზარალებული, რომელსაც მისიის წევრები გაესაუბრნენ, აღნიშნავდნენ, თუ როგორ დაკარგეს მიწა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გადმოწევის შედეგად და როგორ იქონია აღნიშნულმა ფაქტმა გავლენა მათ ცხოვრებაზე. მიწისა და კომერციის შესაძლებლობების დაკარგვამ შეაფერხა მათი ცხოვრება, გამოიწვია ინფრასტრუქტურული პრობლემები და რთული საცხოვრებელი და სამუშაო პირობები.

---

1. იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ვებგვერდი საქართველოში გამოძიების შესახებ, https://www.icc-cpi.int/georgia, კერძოდ, „პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ“, 13 ოქტომბერი, 2015, ICC-01/15-4 13-10-2015 2/160 - https://www.icc-cpi.int/Pages/record.aspx?docNo=ICC-01/15-4 - და „გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ“, 27 იანვარი, 2016, ICC-01/15-12 27-01-2016 - https://www.icc-cpi.int/CourtRecords/CR2016_01813.PDF.
2. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზი შეიქმნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, საქართველოსა და *დე ფაქტო* სამხრეთ ოსეთს შორის.
3. იხ. „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიის“ ანგარიში, ტომი I, სექტემბერი, 2009 წელი: http://smr.gov.ge/Uploads/11415b.pdf

დაზარალებულები, რომლებსაც ფედერაციისა და ცენტრის ერთობლივი მისიის წევრები შეხვდნენ 2016 წლის აპრილში, ცხოვრობდნენ სახლებში, რომლებსაც ომის აშკარა კვალი აქვს. ზოგიერთ სახლს არ აქვს მინის ფანჯრები. ასეთ სახლებში ფანჯრების ნაცვლად პოლიეთილენის პარკებია გამოყენებული. სახლების ნაწილი არ შეკეთებულა და ეზოებში ჩანს საჰაერო და სახმელეთო შეტევის შედეგად მიყენებული ნატყვიარები. ზოგიერთი ოჯახი ცხოვრობს ევროპული დახმარების პროგრამის ფარგლებში აშენებული პატარა ზომის სახლებში, რომლებიც არ არის გამიზნული და ადაპტირებული დიდხანს საცხოვრებლად.

ამას გარდა, ბევრი დაზარალებული, რომელსაც ფედერაციისა და ცენტრის ერთობლივი მისიის წარმომადგენლები შეხვდნენ, უჩიოდა ფიზიკურ პრობლემებს, ფსიქოლოგიურ ტრავმასა და სამედიცინო დახმარების ნაკლებობას. სხვები აცხადებდნენ, რომ ისინი აგრძელებენ ცხოვრებას შიშში, რადგანაც ადმინისტრაციული გამყოფი ხაზი ყოველ დღე იცვლება და უფრო და უფრო ღრმად იჭრება საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული ფაქტი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ თავისუფლებას და წარმოშობს გატაცების შიშს სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ძალებისა და რუსეთის სამხედრო პირების მხრიდან. აღნიშნული შემთხვევების უმრავლესობა ეხება ეთნიკურ ქართველებს, რომლებსაც მოჰყავთ მოსავალი ან აძოვებენ საქონელს გამყოფი საზღვრის ახლოს, რომელიც არ არის ყოველთვის თვალსაჩინოდ მონიშნული ან შემოღობილი.

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტიდან ცხრა წლის შემდეგ, ცოტა რამ თუ გაკეთდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანებისათვის. მათ ეკარგებათ იმედი სამართლიანობის აღდგენისათვის. შიდა დონეზე ჩანს, რომ საქართველოს არ გადაუდგამს მნიშვნელოვანი ნაბიჯები იმ ადამიანების დასასჯელად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ასობით ქართველის იძულებითი გადაადგილების, მკვლელობისა და მაროდიორობისათვის.

შესაბამისად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურის ოფისმა (OTP) უნდა განახორციელოს გამოძიება საქართველოში და წარმართოს საქმეთა შერჩევის პროცესი 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების დაზარალებულებზე ამჟამინდელი ზეგავლენის შესაბამისად.

მეთოდოლოგია

2017 წლის ივნის-ივლისში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისა და ადამიანის უფლებათა ცენტრისერთობლივ მისიას წინ უსწრებდა მისია 2016 აპრილში, რომელიც განხორციელდა საქართველოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე თვეში. აღნიშნულმა მისიამ დაადასტურა საჭიროება უფრო სიღრმისეული გამოკვლევისათვის, 2008 წლის ომის დანაშაულების დაზარალებულებზე მიმდინარე ზეგავლენის შესაფასებლად.

ოთხი მოსამზადებელი მისია განხორციელდა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2017 წლის ივნისში, რომლის ფარგლებში, ორგანიზაციებმა მოინახულეს 11 სოფელი დაზარალებულთა იდენტიფიცირებისათვის. აღნიშნულ დაზარალებულებს ფედერაციისა და ცენტრის წარმომადგენლები შემდეგ შეხვდნენ 2017 წლის ივნისსა და ივლისში.

ფედერაციისა და ცენტრის ფაქტების დამდგენი მისია შედგებოდა შემდეგი წევრებისაგან: ანუშკა სემი, საერთაშორისო ექსპერტი დაზარალებულთა უფლებების დაცვის საკითხებში, რომელსაც გააჩნია კენიის ქეისებზე მუშაობის გამოცდილება; დელფინ კარლენსი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის საერთაშორისო სამართლის მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილე; ნინო ტლაშაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე; გიორგი კაკუბავა, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი და ნათია გოგოლაშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრის ჟურნალისტი. მისიას თარგმანით უზრუნველყოფდა ნინო ტლაშაძე, რომელსაც დახმარებას უწევდა გიორგი ტყებუჩავა.

აღნიშნული მისიის განმავლობაში, ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდნენ 34 ადამიანს 10 სოფელში, რომლებსაც შეეხო 2008 წლის კონფლიქტი და ბერბუკის დევნილთა ჩასახლებაში, გორის ახლოს. მისიის ფარგლებში, ვიზიტები განხორციელდა შემდეგ სოფლებში: კარალეთი, ტყვიავი, ავლევი, ცერონისი, აბისი, დიცი, ქორდი,

გუგუტიანთკარი, დვანი და მერეთი. აღნიშნულ სოფლებზე პირდაპირი ზეგავლენა იქონია 2008 წლის შეიარაღებულმა კონფლიქტმა. ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებით გადაადგილდა კონფლიქტის განმავლობაში. ბევრ სოფელში დამნაშავეებმა გადაწვეს სახლები, რისი კვალიც დღემდეა შემორჩენილი.

მისია შეხვდა 15 კაცსა და 19 ქალს, რომელთა უმრავლესობა იყო 45 წელს გადაცილებული, ეთნიკური ქართველი. ფედერაციისა და ცენტრის მიზანს წარმოადგენდა დაზარალებულთა სამართლიანი წარმომადგენლობა კონსულტაციის პროცესში (იხ. კონსულტირებული დაზარალებულების ანონიმურობის დაცვით შედგენილი სია დანართში).

დაზარალებულებთან ინტერვიუები ჩატარდა ქართულ ენაზე, თარჯიმნის დახმარებით, რომელიც თარგმნიდა ქართულიდან ინგლისურ ენაზე. ყველა ინტერვიუ ჩატარდა დაზარალებულებთან პირადი გასაუბრების გზით. ინტერვიუმდე ინტერვიუერებმა რესპონდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია ინტერვიუს მიზნისა და საკითხების შესახებ და ჰკითხეს, სურდათ თუ არა გამოკითხვაში მონაწილეობა. რესპონდენტებისთვის არ შეუთავაზებიათ წახალისება ინტერვიუში მონაწილეობისათვის. ფედერაციისა და ცენტრის მიერ გამოკითხული პირების სახელები (და ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია), ძირითადად, ანონიმურად რჩება, რათა დაცული იქნას მათი უსაფრთხოება.

ამ დროისათვის არსებული მდგომარეობით, ფედერაცია და ცენტრი მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეხორციელებინა ვიზიტი დაზარალებულებთან სამხრეთ ოსეთში, რადგან აღნიშნულ რეგიონში მცხოვრებ დაზარალებულებთან შეხვედრა დაკავშირებულია უსაფრთხოების გამოწვევებთან. სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთში არსებული ორგანიზაციების ნაწილი, რომლებსაც აკავშირებდა ხშირი თანამშრომლობა ქართველ პარტნიორებთან, ბოლო პერიოდში დაიხურა. ასევე, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციებსა და ადამიანის უფლებათა მექანიზმებს, როგორიც არის - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) და ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისარი, შეზღუდული წვდომა აქვთ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე[4]. როგორც სხვადასხვა დოკუმენტები აჩვენებს, 2008 წლის კონფლიქტის შედეგად, ორივე მხარეს არსებულმა სამოქალაქო პირებმა მიიღეს სერიოზული ზიანი და საქართველოს სამხედრო შენაერთებმა განახორციელეს ძლიერი იერიში ცხინვალზე, რასაც მნიშვნელოვანი მსხვერპლი მოჰყვა[5]. მართალია, მისიის ფარგლებში სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ დაზარალებულებთან არ ჩატარებულა კონსულტაციები პირადად, აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს რეკომენდაციებს, რომელიც შეეცდება, უზრუნველყოს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული პირები ჩართული იყონ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის დაყენების ნებისმიერ პროცესში, რომელსაც შესაძლოა, მომავალში ჰქონდეს ადგილი.

მისიის ფარგლებში, ფედერაციისა და ცენტრის წარმომადგენლები, ასევე, შეხვდნენ საქართველოს მთავრობის, მათ შორის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებს. ამას გარდა, ფედერაციისა და ცენტრის მისია შეხვდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სხვადასხვა წარმომადგენლებს თბილისში, მათ შორის - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა (საია) და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრის წარმომადგენლებს (GCRT). ფედერაციისა და ცენტრის მისიის წევრები, ასევე, შეხვდნენ საქართველოს სახალხო დამცველსა და

4. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში“, 2017 წ.

5. იხ. „ჰიუმან რაითს ვოჩის“ ანგარიში „ცეცხლის ალში: ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში“, 2009 წ. 23 იანვარი: https://www.hrw.org/report/2009/01/23/flames/humanitarian-law-violations-and-civilian-victims-conflict-over-south;
„ჰიუმან რაითს ვოჩის“ ანგარიში, „მომაკვდავი პრაქტიკა: კასეტური ბომბების გამოყენება რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში“, 2009 წ. 14 აპრილი. https://www.hrw.org/report/2009/04/14/dying-practice/use-cluster-munitions-russia-and-georgia-august-2008

ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებს (EUMM) საქართველოში.

ფოტო: ათი სოფელი და ბერბუკის დევნილთა დასახლება. ფოტო გადაღებულია 2017 წლის ივნისში. ©FIDH-HRIDC



I - წინაისტორია: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი

1) საწყისი ეტაპები

სამხრეთ ოსეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის გასწვრივ, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკის, ჩრდილოეთ ოსეთის მოსაზღვრედ. რეგიონი უმეტესწილად ოსებით არის დასახლებული. 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე, ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაახლოებით ერთ მესამედს, რამდენიმე სოფელში კი - უმრავლესობას. სამხრეთ ოსეთის დასავლეთ ნაწილში არსებული რამდენიმე გამონაკლისის გარდა, 2008 წლის კონფლიქტამდე, ეთნიკური ქართველების უმრავლესობით დასახლებული სოფლები ადმინისტრირებული იყო თბილისის მიერ, მაშინ როცა, ცხინვალი და ოსებით დასახლებული სოფლები სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ხელისუფლების ადმინისტრაციის ქვეშ იყო.

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის სათავეები იწყება 1921 წლიდან, როცა საბჭოთა კავშირმა მოახდინა საქართველოს ანექსია, დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდის შემდეგ, რომელიც საქართველომ 1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ მოიპოვა. სამხრეთ ოსეთმა მიიღო ავტონომიური ოლქის სტატუსი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) შემადგენლობაში, მაგრამ არ ჰქონია ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი.

ქვეყნების ნაწილმა, რომლებიც შედიოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) შემადგენლობაში, გაიარა ძალადობრივი ან შეიარაღებული პოსტ-საბჭოთა ტრანზიცია. აღნიშნულ პროცესში რუსეთი სხვადასხვა ხარისხით უჭერდა მხარს რესპუბლიკების შიგნით არსებულ სეპარატისტულ რეგიონებს, მათ შორის - საქართველოში. გარდა ამისა, პოლიტიკურმა პროცესებმა საქართველოში, ასევე, ხელი შუწყო სეპარატისტულ მოძრაობებს რეგიონში.

სამხრეთ ოსეთში მიმდინარე სეპარატისტული მოძრაობა 1980-იან წლებში მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის გაერთიანებას ჩრდილოეთ ოსეთთან. 1989 წლის ნოემბერში, სამხრეთ ოსეთის რეგიონალურმა საბჭომ მოითხოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსგან რეგიონის სტატუსის შეცვლა „ავტონომიური რესპუბლიკის“ სტატუსით, რაზეც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ უარი განაცხადა. ამას მოჰყვა დაძაბულობის ესკალაცია, რაც გადაიზარდა სამთვიან ბრძოლაში. შედეგად, საქართველოში ნიადაგი მოიკიდა ნაციონალისტურმა მოძრაობებმა. 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთმა გამოაცხადა სრული დამოუკიდებლობა საქართველოსაგან და განაცხადა, რომ ამიერიდან წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ნაწილს. სამხრეთ ოსეთმა ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს შემდგომ საპარლამენტო არჩევნებს და ჩაატარა საკუთარი არჩევნები 1990 წლის დეკემბერში. საქართველომ სამხრეთ ოსეთის არჩევნები გამოაცხადა არალეგიტიმურად და გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი. ნაციონალისტურმა დაპირისპირებამ ესკალაცია განიცადა, რასაც შედეგად მოჰყვა ძალადობრივი კონფლიქტი. 1990 წლის 7 დეკემბერს სამხრეთ ოსეთში მშვიდობის დასამყარებლად გაიგზავნა საბჭოთა სამხედრო შენაერთები, რომლებმაც მოგვიანებით სამხრეთ ოსეთის სეპარატისტების მხარი დაიჭირეს. საქართველომ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1991 წლის აპრილში, მიუხედავად მიმდინარე კონფლიქტისა. 1992 წლის 24 ივნისს, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის[6] ლიდერებმა ხელი მოაწერეს დროებით ზავს სოჭში[7], რითაც დასრულდა ორწლიანი ომი.

სოჭის შეთანხმების თანახმად, ჩამოყალიბდა შერეული საკონტროლო კომისია და შერეული სამშვიდობო ძალები სამხრეთ ოსეთში. შერეული სამშვიდობო ძალები, რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსი ოფიცერი, შედგებოდა 500 მშვიდობისმყოფელისაგან შემდგარი სამი ბატალიონისაგან, რომლებსაც წარმოადგენდა რუსეთი, საქართველო და

6. 1991 წლის 25 დეკემბერს, საბჭოთა კავშირი დაიშალა 15 სახელმწიფოდ.

7. სოჭის შეთანხმება - შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ, 24 ივნისი, 1992 წ.: http://www.civil.ge/geo/article.php?id=19346&search

სამხრეთ ოსეთი. 1992 წლის ნოემბერში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციამ[8] დააარსა სადამკვირვებლო მისია, რომლის მანდატს წარმოადგენდა კონფლიქტის მხარეთა დახმარება მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღწევად[9]. ამავე დროს, სამხრეთ ოსეთი გახდა ნახევრად ავტონომიური ტერიტორია, რომელსაც მართავდა სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ადმინისტრაცია, რომელსაც არ აღიარებდა საქართველოს მთავრობა.

ამის შემდეგ პოლიტიკური პროცესი ჩიხში შევიდა. მოწოდებები სამხრეთ ოსეთის განცალკევებით არსებობის შესახებ ნაკლებად გამოხატული იყო პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის დროს. აღნიშნული საკითხები კვლავ აქტუალური გახდა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 2004 წელს. პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო დაპირება იყო საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის შენარჩუნებით მიღწეული წარმატებით გამხნევებულმა სააკაშვილმა 2004 წლის ზაფხულში ფოკუსი სამხრეთ ოსეთზე აიღო. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ერგნეთის ბაზრობის დახურვის შესახებ სამხრეთ ოსეთის რეგიონში[10], რამაც ხელი შეუწყო შეიარაღებულ დაპირისპირებას საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ძალებს შორის 2004 წლის აგვისტოში და ხალხებს შორის პოლარიზაციის გამწვავებას.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის ფედერაციამ მოქალაქეობა და პასპორტები, ასევე პენსია, სამედიცინო და სოციალური ბენეფიტები მიანიჭა სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირთა უმრავლესობას. აღნიშნულ პოლიტიკას საბოლოოდ შედეგად მოჰყვა უვიზო რეჟიმი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის, მას შემდეგ, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის შემოღებულ იქნა სავიზო რეჟიმი 2000 წელს[11]. 2006 წელს, სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ხელისუფლების წარმომადგენლებმა კიდევ უფრო გაამყარეს აღნიშნული პროცესი, საკუთარი „მოქალაქეთა აქტის“ შემოღებით, რომლის ფარგლებშიც სამხრეთ ოსეთში მოსახლე პირებს მიენიჭათ უფლება, მიეღოთ რუსეთის მოქალაქეობა, მათ არაღიარებულ „შიდა სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობასთან“ ერთად[12].



ფოტო: „დამოუკიდებლობის ფასი“.

ნახატი კედელზე, გორი, საქართველო. ფოტო გადაღებულია 2017 წლის 30 ივნისს. ©FIDH-HRIDC

8. 1993 წელს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციას გადაერქვა სახელი და ეწოდა -ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). ეუთო წარმოადგენს მთავრობათაშორის ორგანიზაციას, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და ადამიანის უფლებათა საკითხებს. ეუთოს წევრ 57 სახელმწიფოს (მათ შორის - ჩრდილო ამერიკის, ევროპისა და აზიის კონტინენტებზე) აქვს თანაბარი სტატუსი და გადაწყვეტილებები მიღებულია კონსენსუსის შედეგად, პოლიტიკურად და არა სამართლებრივად მბოჭავ საფუძველზე. საქართველო და რუსეთი, ორივე წარმოადგენს ეუთოს წევრ ქვეყანას.

9. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მისიის დაარსების წესებთან დაკავშირებით, იხ.: http://www.osce.org/georgia-closed/22213

10. ერგნეთის ბაზრობა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ადგილს ხალხთაშორისი კონტაქტისათვის სამხრეთ ოსეთის რეგიონსა და საქართველოს დანარჩენ რეგიონებს შორის, მაგრამ 2004 წელს ის დაიხურა მიხეილ სააკაშვილის მთავრობის მიერ, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ამჟამად, ერგნეთი წარმოადგენს ადგილს, სადაც კონფლიქტის მხარეები რეგულარულად იკრიბებიან, რათა ისაუბრონ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე.

11. საქართველოს პარლამენტი „განცხადება სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ რუსეთსა და საქართველოს შორის“, 2000 წლის 24 ნოემბერი.

12. RIA Novosti, „სამხრეთ ოსთმა დაიწყო საკუთარი პასპორტების დაბეჭდვა“, 2006 წლის 15 აგვისტო.

2) 2008 წლის აგვისტოს ომი

2008 წლის აგვისტოს, კონფლიქტის წინა თვეებში, სამხრეთ ოსეთში და მის მიდამოებში დაიძაბა ურთიერთობები სამხრეთ ოსურ და ქართულ მხარეებს შორის. 3 ივლისს, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ადმინისტრირებაში მყოფ სოფელში აფეთქებებმა იმსხვერპლა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პოლიციის ხელმძღვანელი. იმავე ღამეს, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის პროქართული ლიდერი, დიმიტრი სანაკოევი გადაურჩა გზისპირა ნაღმს. იმ ღამით, ქართულმა და სამხრეთ ოსურმა მხარეებმა წამოიწყეს საარტილერიო შეტევები ერთმანეთის სოფლებსა და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე, რის შედეგადაც, სავარაუდოდ, ათეულობით ადამიანი დაიღუპა და დაიჭრა. ომი დაიწყო 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამეს, როცა ქართულმა მხარემ განახორციელა ინტენსიური საჰაერო და სახმელეთო შეტევა სამხრეთ ოსეთის ქალაქ ცხინვალზე, მაშინ, როცა რუსეთის შეიარაღებული ძალები, საჰაერო დარტყმებითა და შავის ზღვის ფლოტის ქვედანაყოფების მონაწილეობით, ღრმად შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე, გადაკეტეს ქვეყნის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი, მიაღწიეს ფოთის პორტამდე და საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მახლობლად გაჩერდნენ[13].

2008 წლის 11 აგვისტოს, რუსეთმა დაბომბა საცხოვრებელი შენობები გორში - საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე - და მოახდინა ქალაქის ოკუპაცია. 2008 წლის 15 აგვისტოდან, რუსეთის სამხედრო შენაერთებმა დატოვეს საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორია, მაგრამ შექმნეს 20-კილომეტრიანი „ბუფერული ზონა“ საქართველოს ტერიტორიის ნაწილებზე, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიღმა.

2008 წლის 16 აგვისტოს, მოლაპარაკება შედგა საფრანგეთის პრეზიდენტ, ნიკოლა სარკოზისა და რუსეთის პრეზიდენტ, დიმიტრი მედვედევს შორის, რომლის შედეგადაც ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებას. ხოლო, მოგვიანებით, სექტემბერში, შემუშავდა 6-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა, რომლის მიხედვითაც:

- რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნებულიყვნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე;
- საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნებულიყვნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში;
- გაეროსა და ეუთოს საერთაშორისო დამკირვებლები რჩებოდნენ ადგილზე;
- საერთაშორისო დამკვირვებლების რაოდენობა იზრდებოდა 2008 წლის 1 ოქტომბრისათვის, სულ მცირე, 200 ევროკავშირის დამკვირვებლით.

2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთმა აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკები[14]. 2008 წლის სექტემბერში, რუსეთმა ხელი მოაწერა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმებებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან, რითაც რეგიონები დამოკიდებულები გახდნენ რუსეთზე. აღნიშნული შეთანხმებები უფლებას აძლევს რუსეთის სამხედრო შენაერთებს, დაიცვან რეგიონალური საზღვრები, რეგიონებში მცხოვრებ პირებს - უვიზო მიმოსვლას რუსეთთან, რუსეთის საელჩოებს კი - რეგიონებში მცხოვრები პირების ინტერესების დაცვას უცხოეთში მოგზაურობისას.

3) 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ

2009 წლის აპრილში, რუსეთმა გაამყარა საკუთარი პოზიციები სამხრეთ ოსეთში, მოაწერა რა ხელი ხუთწლიან შეთანხმებას, განახორციელოს ფორმალური კონტროლი მის საზღვრებზე საქართველოსთან. ამას გარდა, 2015 წელს, რუსეთმა ხელი მოაწერა „ალიანსისა და ინტეგრაციის შეთანხმებას“ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან, რომელმაც გააუქმა საგუშაგო-გამშვები პუნქტები. საქართველომ გამოხატა წუხილი, რომ აღნიშნული გამოიწვევდა რუსეთის მიერ რეგიონის ანექსიას, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის სამხედრო ძალებმა ე. წ. ადმინისტრაციული

13. იხ. „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიის“ ანგარიში, ტომი I, სექტემბერი, 2009 წელი: http://smr.gov.ge/Uploads/11415b.pdf

14. „რუსეთი აღიარებს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს“, Ria Novosti, 2008 წ. 26 აგვისტო.

გამყოფი ხაზი საქართველოს ტერიტორიაზე 1.5 კილომეტრით გადმოწიეს[15]. 2017 წლის მარტში, სამხრეთ ოსეთის სამხედრო შენაერთების ნაწილები გაერთიანდა რუსეთის ფედერაციის ჯარში.

ამ დროისათვის, სამხრეთ ოსეთი აღიარებულია გაეროს წევრი ოთხი ქვეყნის მიერ. კერძოდ, ეს ქვეყნებია: რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ.

15. იხ. BBC-ის ანგარიში, „სამხრეთ ოსეთი“: http://www.bbc.com/news/world-europe-18269210

II - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) გამოძიება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებზე

1) ICC-ის წინასწარი მოკვლევა საქართველოში

ICC-ის იურისდიქცია

საქართველო წარმოადგენს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოს. საქართველომ რომის სტატუტს ხელი მოაწერა და რატიფიცირება განახორციელა 2003 წლის სექტემბერში. რუსეთმა სტატუტს ხელი მოაწერა 2000 წელს, მაგრამ არ მოუხდენია რატიფიცირება. შესაბამისად, არ გამხდარა მისი იურისდიქციის სუბიექტი. თუმცა, 2016 წლის ნოემბერში, პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, რუსეთი არ აპირებს ICC-ის დამფუძნებელი დოკუმენტის რატიფიცირებას[16]. საინტერესოა, რომ აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა ორ დღეში მას შემდეგ, რაც ICC-ის პროკურორმა გამოაქვეყნა ანგარიში წინასწარი მოკვლევების სტატუსთან დაკავშირებით, მათ შორის, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტთან დაკავშირებით[17]. როგორც ჩანს, აღნიშნული დეკლარაციის მიზანი იყო მედიის ყურადღების მიქცევა და მის შედეგს წარმოადგენდა რუსეთის, რეგიონალური და საერთაშორისო მედიის მიერ განმეორებითი და არასწორი ინფორმაციის გაშუქება, რომ რუსეთმა „დატოვა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო“.

პრაქტიკული კუთხით, აღნიშნულ დეკლარაციას მცირე ზეგავლენა აქვს ICC-ის გამოძიებაზე საქართველოში, რადგანაც რუსეთი არასოდეს ყოფილა ICC-ის წევრი ქვეყანა. გარდა ამისა, რომის სტატუტის მე-12 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია აქვს იმ საერთაშორისო დანაშაულებზე, რომელიც ჩადენილ იქნა რომის სტატუტის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე. შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები შედის ICC იურისდიქციაში, იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთი არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და არც გაეროს წევრი ქვეყანა. 2009 წლიდან გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული სხვადასხვა რეზოლუციები მოიხსენიებენ სამხრეთ ოსეთს, როგორც საქართველოს ნაწილს. ცხადია, გამოძიების უფლებამოსილების მიღების მოთხოვნის მიზნებისათვის, პროკურორმა, ასევე, ჩათვალა, რომ სამხრეთ ოსეთი იყო საქართველოს ნაწილი სავარაუდო დანაშაულების ჩადენის დროს და ოკუპირებული იყო რუსეთის მიერ სულ მცირე 2008 წლის 10 ოქტომბრამდე, როცა რუსეთის სამხედრო შენაერთებმა უკან დაიხიეს ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესაბამისად[18].

ICC-ის წინასწარი მოკვლევა

ICC-ის პროკურორმა გამოაცხადა საქართველოს სიტუაციაში წინასწარი მოკვლევის განხორციელების შესახებ 2008 წლის 14 აგვისტოს[19]. 2015 წლის 8 ოქტომბერს, ICC-ის პრეზიდიუმმა საქართველოს სიტუაციის განხილვა პირველ წინასასამართლო პალატას დაავალა, მას შემდეგ, რაც პროკურორმა განახორციელა შეტყობინება მოთხოვნის დაყენების შესახებ, საქართველოს სიტუაციაში გამოძიების გახსნასთან დაკავშირებით,

16. 2016 წლის 30 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ გაეროს გენერალურ მდივნის მიმართ განხორციელებული კომუნიკაცია: https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=IND&mtdsg_no=XVIII-10&chapter=18&lang=en#9

17. იხ. ICC-ის პროკურატურის ოფისის (OTP) ანგარიში წინასწარი მოკვლევების შესახებ, ნოემბერი, 2016 წ.: https://www.icc-cpi.int/iccdocs/otp/161114-otp-rep-PE_ENG.pdf

18. ICC-ის პროკურატურის ოფისი (OTP), „შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ“, საქართველოს სიტუაცია, 2015 წ. 13 ოქტომბერი, ICC-01/15-4 13-10-2015 2/160, პარაგრაფი 54: https://www.icc-cpi.int/Pages/record.aspx?docNo=ICC-01/15-4

19. ICC-ის პროკურატურის ოფისი (OTP), ანგარიში წინასწარი მოკვლევის აქტივობებზე, 2011 წ. 13 დეკემბერი, პარაგრაფი 88: https://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/63682F4E-49C8-445D-8C13-F310A4F3AEC2/284116/OTPReportonPreliminaryExaminations13December2011.pdf

სტატუტის 15(3) მუხლის შესაბამისად[20].

ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, პროკურორმა დაასკვნა, რომ არსებობს გონივრული საფუძველი, ვირწმუნოთ, რომ სასამართლოს იურისდიქციას მიკუთვნებული დანაშაულები ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დროს. რომის სტატუტის მე-15 მუხლის შესაბამისად, პროკურორს შეუძლია, გამოიძიოს მტკიცებები დანაშაულების შესახებ არა მხოლოდ უშიშროების საბჭოს რეფერალის ან წევრი სახელმწიფოების მოთხოვნის შედეგად, არამედ, ასევე, დაზარალებულების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სანდო წყაროებზე დაყრდნობით. რომის სტატუტის მე15(3) მუხლის თანახმად, *„თუ პროკურორი დაასკვნის, რომ არსებობს გამოძიების გაგრძელების საკმარისი საფუძველი, იგი მიმართავს წინასწარი წარმოების პალატას თხოვნით, ამ თხოვნის ყველა დამადასტურებელი მასალის თანდართვით, გასცეს გამოძიების წარმოების სანქცია. დაზარალებულებს შეუძლიათ, გააკეთონ წარდგინებები წინასწარი წარმოების პალატაში პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად“.* 2016 წლის იანვარში წინასასამართლო პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა გონივრული საფუძველი გამოძიების დაწყებისათვის საქართველოს სიტუაციაში და დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა[21].

2) ICC-ის გამოძიების ფარგლები საქართველოში

როგორც პროკურორი აცხადებს გამოძიების დაწყების შესახებ შუამდგომლობაში, არსებობს გონივრული საფუძველი, ვირწმუნოთ, რომ ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ჩადენილია **სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში, 2008 წლის 1 ივლისიდან 2008 წლის 10 ოქტომბრამდე**, მათ შორის, „ბუფერულ ზონაშიც“[22]. კერძოდ, პროკურორის შუამდგომლობის თანახმად, შეიარაღებულ კონფლიქტს ჰყავდა სამი მხარე - ქართული, სამხრეთ ოსური და რუსეთის შეიარაღებული ძალები[23]. ამას გარდა, წინასწარი მოკვლევის თანახმად, სამხრეთ ოსეთში ჩადენილია ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულები:

• მკვლელობა, იძულებით გადაადგილება და ეთნიკურად ქართველი სამოქალაქო პირების დევნა, საკუთრების განადგურება და მაროდიორობა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალებისა და არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ (რუსეთის შეიარაღებული ძალების შესაძლო მონაწილეობით);

• ქართველ სამშვიდობოებზე განზრახ თავდასხმა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ; და რუსეთის სამშვიდობოებზე განზრახ თავდასხმა ქართველი შეიარაღებული ძალების მიერ[24].

პროკურორის შუამდგომლობის თანახმად, მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმების შედეგია 51-დან 113-მდე ეთნიკური ქართველის განზრახ-მკვლელობა და სამხრეთ ოსეთის სოფლებიდან და ქალაქებიდან, და აგრეთვე “ბუფერული ზონიდან” 13400-დან 18500-მდე ეთნიკურად ქართველი მოსახლის იძულებითი გადაადგილება[25]. პროკურორის ინფორმაციით, წინააღმდეგობრივი ინფორმაცია არსებობს რუსეთის შეიარაღებული ძალების აღნიშნულ დანაშაულებში მონაწილეობასთან დაკავშირებით[26]. არსებობს ინფორმაცია, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების ზოგიერთი წევრი აქტიურ მონაწილეობას იღებდა დანაშაულებში, მაშინ, როცა სხვები უფრო პასიური როლით შემოიფარგლებოდნენ და ეხმარებოდნენ კიდევაც დაზარალებულებს.

პროკურორის ინფორმაციის თანახმად, **ძირითად ადგილებს, სადაც დანაშაულებია**

---

20. ICC OTP, „შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ“, საქართველოს სიტუაცია, 2015 წ. 13 ოქტომბერი, ICC-01/15-4 13-10-2015 2/160

21. ICC-ის პირველი წინასასამართლო პალატა, გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, 2016 წლის 27 იანვარი, ICC-01/15-12 27-01-2016.

22. ICC-ის პროკურორის შამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, გვ. 5.

23. *იგივე.*

24. *იგივე.*

25. ICC-ის პროკურორის შამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, გვ. 8.

26. ICC-ის პროკურორის შამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, გვ. 8.

ჩადენილი, წარმოადგენდა:

- ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლები ქურთის თემში, ცხინვალის ჩრდილოეთით;
- ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლები ერედვის თემში, ცხინვალის ჩრდილო-აღმოსავლეთით;
- ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლები თიღვის თემში, ცხინვალის სამხრეთ-აღმოსავლეთით;
- გორის სოფლები და „ბუფერულ ზონაში“ მდებარე მუნიციპალიტეტი.

სამშვიდობოებზე უკანონო თავდასხმასთან დაკავშირებით, პროკურორმა განაცხადა, რომ ქართული სამშვიდობო კონტინგენტი, რომელიც განლაგებული იყო ავნევის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე, მძიმედ დაიცხრილა სამხრეთ ოსეთის პოზიციებიდან. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მოგვიანებით განახორციელეს სამხედრო შეტევა გაერთიანებული სამშვიდობო ძალების შტაბის წინააღმდეგ ცხინვალის ცენტრალურ ნაწილში და რუსული სამშვიდობო ძალების ბატალიონის ბაზის წინააღმდეგ ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

ეთნიკური ქართველების იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებით, პროკურორმა განაცხადა, რომ დანაშაულების პირველი „ტალღა“ დაფიქსირდა 2008 წლის 7-12 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთისა და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ. იძულებითი გადაადგილების მეორე ტალღა დაფიქსირდა 2008 წლის 12 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის პერიოდში იმ ტერიტორიებზე, რომლებიც განლაგებულია გამყოფი ხაზის მიღმა[27]. პროკურორის შუამდგომლობის თანახმად, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები აგრძელებდნენ მაროდიორობასა და ეთნიკური ქართველების სახლების გადაწვას სამხრეთ ოსეთში აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ. პროკურორის შუამდგომლობის თანახმად, *„მოსახლეობის დაშინების აღნიშნული კამპანია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დარჩენილი ეთნიკური ქართველების ძალადობრივი გზით გაძევება ან მათთვის ხელის შეშლა, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში, გაგრძელდა 2008 წლის 10 ოქტომბრამდე, როცა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის უკან დაიხიეს“*[28].

რაც შეეხება **საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებს,** ICC-ის პროკურორის განცხადებით, მან გამოიკვლია მტკიცებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს განურჩეველი და არაპროპორციული თავდასხმა სამოქალაქო პირებსა და საკუთრებაზე ქალაქ ცხინვალში საჰაერო და სახმელეთო შეტევისას[29]. „ჰიუმან რაითს ვოჩის“ ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 18-საათიანი სარაკეტო შეტევის შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს ცხინვალზე 2008 წლის 7 და 8 აგვისტოს, რა დროსაც, შესაძლოა, სამიზნეს წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთის ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფო[30]. ამას გარდა, „ჰიუმან რაითს ვოჩის“ ანგარიშის თანახმად, საჰაერო და სახმელეთო შეტევის განხორციელებისას, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს იარაღი, რომელიც არ იყო შესაფერისი ზუსტი გამოყენებისათვის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ სამოქალაქო ტერიტორიაზე. „ჰიუმან რაითს ვოჩის“ ანგარიშის თანახმად, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს ომის დაწყების ინიცირება ცხინვალისა და მის გარშემო მდებარე სოფლების დაბომბვით BM-21 „გრად“ ტიპის სარაკეტო სისტემის

27. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 58.
28. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი, პარაგრაფი 61,
29. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 191.
30. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 193-194.

გამოყენებით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია 20 წამში 40 რაკეტის გაშვება[31]. „ჰიუმან რაითს ვოჩის“ დასკვნით, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაარღვიეს ომის კანონები სამხრეთ ოსეთზე შეტევის განხორციელებისას. ამავე დროს, „ჰიუმან რაითს ვოჩს“ არ უპოვნია მტკიცებულება, რომელიც აჩვენებდა, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა სამოქალაქო პირები მიზანმიმართულად აიღეს სამიზნედ. თუმცა, ორგანიზაციამ დაასკვნა, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, დაბომბვის განხორციელებისას, სამოქალაქო პირების დაცვა უგულვებელყვეს, რამაც გამოიწვია მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში და ფართომასშტაბიანი ზიანი სამოქალაქო ობიექტებსა და საკუთრებაზე[32].

ამ ეტაპზე გაურკვეველია, გააგრძელებს თუ არა ICC-ის პროკურორი აღნიშნული თავდასხმების გამოძიებას, იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ შუამდგომლობაში იგი აცხადებს: „ამ ეტაპზე შეზღუდულია ინფორმაცია სამიზნეების, თავდასხმათა გარემოებებისა და გამოწვეული ზიანის მასშტაბების შესახებ. ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიის (IIFFMCG) ანგარიშის თანახმად, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები იყვნენ პასუხისმგებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ცეცხლის გახსნისათვის იმ ადგილებიდან, რომელიც ახლოს იყო სამოქალაქო ტერიტორიასთან ან თავდაცვითი პოზიციების შექმნისათვის სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ადგილებში. აღნიშნულ თავდასხმებზე საპასუხოდ, ჩანს, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეუტიეს სამხედრო ობიექტებს, რომლებიც განლაგებული იყო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ცხინვალსა და მის გარშემო მდებარე სოფლებში, რამაც გამოიწვია სამოქალაქო ობიექტების განადგურება“[33].

ამას გარდა, ICC-ის პროკურორმა განაცხადა, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, სავარაუდოდ, განახორციელეს განურჩეველი და არაპროპორციული თავდასხმა სამოქალაქო პირებისა და საკუთრების წინააღმდეგ იმ იარაღით, რომელიც არ იყო შესაფერისი ზუსტი გამოყენებისათვის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ სამოქალაქო ტერიტორიაზე, რამაც გამოიწვია სამოქალაქო პირთა სიკვდილი და დაზიანება[34]. ამას გარდა, პროკურორის შუამდგომლობის თანახმად, რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ხორციელდებოდა საჰაერო თავდასხმები ცხინვალსა და ერედვში, სამხრეთ ოსეთში, და ტყვიავისა და ვარიანის ახლოს, გორის მუნიციპალიტეტში[35]. შუამდგომლობის თანახმად, „თავდასხმის მსხვერპლები აღწერდნენ, რომ ისინი ხედავდნენ მცირე ზომის მრავალ აფეთქებას, წამების ინტერვალებით, რაც მიუთითებს კასეტური ბომბების შესაძლო გამოყენებაზე“[36].

დაბოლოოს, პროკურორის შუამდგომლობის თანახმად, *„თავდასხმები სამოქალაქო მოსახლეობაზე სამხრეთ ოსეთში არ ყოფილა იზოლირებული ხასიათის ან სპონტანური ძალადობის აქტები, არამედ ჩადენილი იყო სამხრეთ ოსეთის ლიდერების პოლიტიკის შესაბამისად. აღნიშნული პოლიტიკა მოიცავდა ეთნიკური ქართველების იძულებით გაძევებას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან, რაც ემსახურებოდა საქართველოსთან ნებისმიერი დარჩენილი კავშირის გაწყვეტასა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების საბოლოო მიზანს. კერძოდ, აღნიშნული კამპანია, პირველ რიგში, მიმართული იყო ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლების წინააღმდეგ თბილისის*

31. „ჰიუმან რაითს ვოჩის“ ანგარიში, „ცეცხლის ალში: ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და სამოქალაქო მსხვერპლი სამხრეთის ოსეთის კონფლიქტში“, 2009 წ. 23 იანვარი, გვ. 22.

32. *იგივე,* გვ. 38.

33. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 195.

34. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 201.

35. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 202.

36. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 203.

მიერ კონტროლირებად ქურთის, ერედვისა და თიღვის მუნიციპალიტეტებში“[37].

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, კონფლიქტის დროს საქართველოში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში 127 000 ადამიანი გადაადგილდა იძულებით. ამას გარდა, 100 000 ადამიანმა განიცადა ზიანი კონფლიქტის შედეგად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, და საჭიროებს დახმარებას[38].

37. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 218.

38. მსოფლიო ბანკი, „საქართველო: საჭიროებათა კვლევის მოკლე შინაარსი, 2008 წლის 2 ოქტომბრის დონორთა კონფერენციისათვის მომზადებული“.

III – 2008 წლის ომის ზეგავლენა დაზარალებულებზე: ცხრა წლის შემდეგ

1) ეროვნული მექანიზმების ნაკლებობა და ICC-ის ჩართვის საჭიროება

ეროვნული მექანიზმების ნაკლებობა

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირებისათვის ცოტა რამ თუ გაკეთდა და მათი იმედები სამართლიანობის აღდგენისათვის ნელ-ნელა ქრება. შიდა დონეზე, ჩანს, რომ საქართველოს არ გადაუდგამს რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ პირების პასუხისგებაში მისაცემად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ასობით ქართველის იძულებით გადაადგილების, მკვლელობისა და მაროდიორობისათვის. 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს მთავრობამ განახორციელა გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილია ქართველი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში და სამხრეთ ოსეთში[39]. საქართველოს პროკურატურის ოფისმა, არსებული მონაცემებით, გამოკითხა 7000 მოწმე, განახორციელა საგამოძიებო მოქმედებები დაახლოებით 30 ადგილზე, სადაც სავარუდო დანაშაულებიია ჩადენილი და განახორციელა სხვადასხვა სახის ექსპერტიზა[40]. საქართველოს ხელისუფლების ინფორმაციით, გამოძიება ორი მთავარი გამოწვევის წინაშე დადგა: 1) სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და 2) რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის არარსებობა[41]. საქართველოს მთავრობამ ინფორმაცია მიაწოდა ICC-ის პროკურორს, რომ ეროვნულ დონეზე შემდგომ გამოძიებას ხელს უშლის *„მყიფე უსაფრთხოების მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც ხშირი ხასიათი აქვს ძალადობას სამოქალაქო პირების წინააღმდეგ“*[42].

ფოტო: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის ოფისის წარმომადგენლების შეხვედრა.

ფოტო გადაღებულია 2017 წლის ოქტომბერში: https://www.flickr.com/photos/icc-cpi/37253810904/in/photostream/ (©ICC-CPI)

კერძოდ, საქართველოს ხელისუფლება გამოხატავდა შიშს, რომ დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემას, შესაძლოა, მოჰყოლოდა აგრესიული რეაქციები ოკუპანტი ძალების მხრიდან, რაც წარმოშობდა რისკებს მოწმეთა უსაფრთხოების კუთხით. მართლაც, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მოწმეები შესაძლოა, ყოფილიყვნენ ცხინვალში დაკავების რისკის ქვეშ[43]. შესაბამისად, ICC-ის პროკურორმა

39. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 283.
40. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 288.
41. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 290.
42. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 302.
43. *იგივე.*

დაასკვნა, რომ ადგილობრივ დონეზე სამართალწამოების პერსპექტივა შეჩერებულია[44].

ICC-ის ჩართვის საჭიროება და „დანაშაულთა სიმძიმე“

ჩანს, რომ ამჟამად 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის უფლებამოსილებას მიეკუთვნება. ამჟამად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ახორციელებს გამოძიებას 11 სიტუაციაში[45]. ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს საბიუჯეტო რესურსების ნაკლებობის გამო, პროკურორმა უნდა შეაფასოს, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება სხვა ქვეყნებში და რომელი ქეისები იქნება პრიორიტეტი.

ICC-ის პროკურატურის ოფისის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, საქმეთა შერჩევისა და პრიორიტიზაციის შესახებ, რომელიც 2016 წლის 15 სექტემბერს გამოქვეყნდა[46], ერთ-ერთი ფაქტორი, რასაც პროკურატურა იღებს მხედველობაში საქმეთა შერჩევისას, არის **დანაშაულების სიმძიმე.** დანაშაულის სიმძიმე, როგორც საქმეთა შერჩევის კრიტერიუმი, ეხება პროკურატურის სტრატეგიულ მიზანს, ფოკუსირება მოახდინოს ყველაზე მძიმე დანაშაულებზე, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს მთელი საერთაშორისო საზოგადოებისათვის[47]. სიმძიმის შეფასება მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ასპექტებს, როგორიც არის: დანაშაულის მასშტაბი, ხასიათი, ჩადენის გზა და ზეგავლენა. პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დანაშაულების ზეგავლენა შესაძლოა, შეფასდეს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიც არის: დაზარალებულთა გაზრდილი მოწყვლადობა, დანაშაულების შედეგად დათესილი შიში/ტერორი და სოციალური, ეკონომიკური და გარემოსათვის მიყენებული ზიანი[48].

ამას გარდა, ქეისების პრიორიტიზაციის თვალსაზრისით, OTP ასევე მხედველობაში იღებს **გამოძიებისა და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის ზეგავლენას დაზარალებულებსა და მათ თემებზე**[49]**.** აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, თითოეული ინდივიდუალური კრიტერიუმის შეფასება მოხდება კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ამას გარდა, *„შედარებითი ანალიზი გაკეთდება შერჩეულ საქმეთა შორის იგივე ფაქტორების საფუძველზე, რაც საქმეთა შერჩევისათვის გამოიყენება, მათ შორის - დანაშაულის მასშტაბი, ხასიათი, ჩადენის გზა და ზეგავლენა“*[50].

საქართველოს სიტუაციის პრიორიტიზაციის საჭიროება

ფედერაციისა და ცენტრის მისიის მიერ დაზარალებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგი აჩვენებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი საქართველოს სიტუაციის პრიორიტიზაციისათვის, OTP-ის საქმეთა შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად.

2015 წლის დეკემბერში, ICC-ის რეგისტრატურამ აწარმოა კონსულტაციები რომის სტატუტის მე-15(3) მუხლის თანახმად, საკითხზე - სურდათ თუ არა დაზარალებულებს, მინიჭებოდა პროკურორს უფლებამოსილება გამოძიების დასაწყებად საქართველოში. რეგისტრატურამ მიიღო რეპრეზენტაციის ფორმები დაახლოებით 6 335 დაზარალებულის

---

44. ICC-ის პროკურორის შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარაგრაფი 303.
45. ICC-ის პროკური ამჟამად გამოძიებას აწარმოებს საქართველოში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მალიში, კოტდევუარში, ლიბიაში, კენიაში, დარფურში, უგანდაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ბურუნდიში: https://www.icc-cpi.int/Pages/Situations.aspx.
46. ICC OTP, “ქეისების შერჩევისა და პრიორიტიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი“, 2016 წლის 15 სექტემბერი, პარაგრაფი 12.
47. ICC OTP, “ქეისების შერჩევისა და პრიორიტიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი“, 2016 წ. 15 სექტემბერი, პარაგრაფი 40.
48. ICC OTP, “ქეისების შერჩევისა და პრიორიტიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი“, პარაგრაფი 40.
49. ICC OTP, “ქეისების შერჩევისა და პრიორიტიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი“, პარაგრაფი 50.
50. ICC OTP, “ქეისების შერჩევისა და პრიორიტიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი“, ნაწილი „ა“, პარაგრაფი 50.

სახელით საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული რაოდენობის დაახლოებით **99%-მა** განაცხადა, რომ მათ სურდათ, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო პროკურორს გამოეძიებია 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულები. რეგისტრატურის ინფორმაციით, 51-მა (1%) ქართველმა დაზარალებულმა, რომლებმაც უპასუხეს, რომ მათ არ სურდათ გამოძიების დაწყება, მიზეზად მიუთითეს უსაფრთხოების რისკები, ტრავმული მოვლენების გახსენების სურვილის არქონა და ეჭვები, რამდენად მოიტანს ICC-ის პროცესი მათთვის პერსონალურ სარგებელს[51].

დაზარალებულთა დიდმა ნაწილმა, რომელსაც ფედერაციისა და ცენტრის მისიის წევრები გაესაუბრნენ, გამოთქვა მტკიცე შეხედულებები, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დაეხმარება მათ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას რეგიონში. დაზარალებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გამოხატა იმედგაცრუება დამნაშავეთა პასუხისმგებლობის ნაკლებობაზე იმ ზიანისათვის, რაც მათ განიცადეს. ბევრმა დაზარალებულმა უთხრა მისიას, რომ ისინი აგრძელებენ ცხოვრებას არასაიმედო და არაპროგნოზირებად პირობებში. არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „შეიძლება დაიძინო საქართველოში და გაიღვიძო სამხრეთ ოსეთში“. სხვებმა მისიის წევრებს უთხრეს, რომ მათ ცხოვრებაზე სერიოზული ზეგავლენა იქონია კონფლიქტმა და ბევრი ცხოვრობს მოწყვლად პირობებში.

2) დაზარალებულთა გაზრდილი მოწყვლადობა

2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტის დადგომამდე, ახალგაზრდა მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების უმრავლესობამ დატოვა სამხრეთ ოსეთისა და გორის ახლოს მდებარე სოფლები და თავი საქართველოს სხვა ნაწილებს შეაფარა. იმ სოფლებში, რომლებსაც მოგვიანებით კონფლიქტი შეეხო, უმეტესწილად, ასაკოვანი მოსახლეობა დარჩა, რომლებმაც არჩიეს სახლში დარჩენა, რათა თვალყური ედევნებინათ საკუთარი სახლებისა და საქონლისათვის. ფედერაციისა და ცენტრის მისიის მიერ მონახულებული ორი დაზარალებულის განცხადებით, მათი ოსი ნათესავები დარჩნენ სოფელ აბისში, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის პოლიცია არ დააზიანებდა მათ ან არ გადაწვავდა მათ სახლებს. ერთმა ასაკოვანმა დაზარალებულმა, რომელიც ცხოვრობდა სოფელ კარალეთში კონფლიქტის დროს, განაცხადა, რომ მას და მის ქმარს „ჰყავდა შვიდი ძროხა და მათ არ შეეძლოთ მარტივად დაეტოვებინათ სოფელი და ყველაფერი რაც გააჩნდათ“[52]. მისი ქმარი მოკლეს მამაკაცებმა სამხრეთ ოსეთიდან, როცა იგი სიგარეტის საყიდლად წავიდა.

ფოტო: „ნატყვიარი კედელი კარალეთში“

ფოტოზე გამოსახულია ნატყვიარი კედელი კარალეთში, სადაც მსხვერპლის ქმართან მისიის წევრებს ჰქონდათ ინტერვიუ. ფოტო გადაღებულია 2017 წლის 27 ივნისს. ©FIDH-HRIDC

51. ICC დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციის სექცია, „ანგარიში დაზარალებულთა მონაწილეობაზე, რომელიც მიღებულ იქნა რომის სტატუტის მე-15(3) მუხლის შესაბამისად“, 2015 წ. 4 დეკემბერი, პარაგრაფი 21,
ICC-01/15-11 04-12-2015 1/19.

52. ინტერვიუ 64 წლის ქალ დაზარალებულთან, ზ.ბ.-სთან, სოფელი კარალეთი, 2017 წ. 27 ივნისი.

მან განაცხადა, რომ ქმარი ხელებში ჩააკვდა მას შემდეგ, რაც ბარძაყში დაიჭრა. ამას გარდა, ვინაიდან სახლში დარჩნენ მხოლოდ ის და მისი ასაკოვანი დედამთილი, მათ ვერ შეძლეს დაემარხათ გარდაცვლილი ოჯახის წევრი ოთხი დღის განმავლობაში, რადგანაც არავის შეეძლო მათი დახმარება. ბოლოს, მათ მოახერხეს სხვა ასაკოვანი ხალხის შეგროვება სოფელში, რომელთა დახმარებითაც დამარხეს გარდაცვლილი მამაკაცი.

ბ.მ.-მ, რომელსაც მისიის წევრები 2017 წლის 27 ივნისს შეხვდნენ, განაცხადა, რომ მისი ასაკოვანი მშობლები და ბიძა დარჩნენ სოფელში კონფლიქტის დროს. მან გაიხსენა, როგორ უთხრა დედამ, რომ სახლში მაროდიორები შეიჭრნენ და ხელყუმბარა ააფეთქეს ჭიშკრის მიმართულებით.

ფოტო: ნატყვიარი ჭიშკარი.
ბ.მ. მისიის წევრებს აჩვენებს ჭიშკარს, რომელზეც ჯერ კიდევ თვალსაჩინოა 2008 წლის აგვისტოს ომის კვალი.
ფოტო გადაღებულია 2017 წლის 27 ივნისს. ©FIDH-HRIDC

აღნიშნული ინციდენტის შედეგად ბ.მ.-ს მამა და ბიძა დაიღუპნენ. რესპონდენტმა უთხრა მისიის წევრებს, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, მისი დედა იტანჯებოდა დეპრესიითა და სხვა ფსიქოლოგიური პრობლემებით და გარდაცვალებამდე მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. რესპონდენტის თქმით, დედა „უბრალოდ არსებობდა და არ ცხოვრობდა“. ამ ტრაგედიის შედეგად, რესპონდენტს განუვითარდა სტრესით გამოწვეული გულის პრობლემები. მისი განცხადებით, „აღნიშნულმა ტრაგედიამ ყველაზე იქონია ზეგავლენა და ის ტკივილი, რასაც გრძნობენ, არასოდეს განიკურნება“.

ფედერაციისა და ცენტრის მისიის წევრები, ასევე, შეხვდნენ მ.ს.-ს - 82 წლის ასაკოვან ქალს, რომელიც ჯერ კიდევ უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობს, 2017 წლის 27 ივნისში, ტყვიავში. ქალის განცხადებით, 2008 წლის აგვისტოში, ის და მისი შვილი დარჩნენ სოფელში. მათთან მივიდა სამი ოსი მამაკაცი, რომლებმაც მოითხოვეს მათი ტრაქტორი. მ.ს.-ს შვილმა მათ როცა უთხრა, რომ ტრაქტორი არ მუშაობდა, ისინი ძალიან გაბრაზდნენ და კონდახი ჩაარტყეს გულმკერდის არეში. მ.ს.-ს შვილი მიღებული დაზიანებების შედეგად მალე გარდაიცვალა. მ.ს.-მ მოუთხრო მისიის წევრებს, რომ ის სახლში მარტო დარჩა აგვისტოს ბოლომდე და მეზობლები უზიარებდნენ საჭმელს. მისი ოჯახის სიტუაცია 2008 წლის შემდეგ საგრძნობლად გაუარესდა. მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის ის, რომ ვინაიდან ოჯახს დაემატა წევრი, აღარა აქვთ საკმარისი ოთახი და სახლში ყველა ვეღარ ეტევა, რის გამოც ის იატაკზე იძინებს. ასევე, როცა წვიმს, მისი ძილის ადგილი წყლით არის სავსე. მ.ს.-მ თქვა, რომ ხშირად ის მშიერია, რადგანაც უბრალოდ არ არის საჭმელი. ასევე, მას არ აქვს საკმარისი ფული მედიკამენტების შესაძენად. მ.ს.-მ განაცხადა, რომ მისი შვილი, რომელიც გარდაიცვალა, ფინანსურად ეხმარებოდა მას.

სხვა დაზარალებულები, რომლებსაც მისიის წევრები შეხვდნენ **ავლევში,** ასევე, ასაკოვანი პირები იყვნენ. მათ ასევე განაცხადეს, რომ 2008 წელს სოფლებში დარჩა ბევრი ასაკოვანი ადამიანი, რომლებსაც არ შეეძლოთ სოფლების დატოვება, ან არჩევდნენ დარჩენას და საკუთრების დაცვას. დ.თ.-მ გაიხსენა, თუ როგორ ესროლეს იარაღი მის მამამთილს კონფლიქტის დროს. მან განაცხადა, რომ მისი მამამთილი იყო ასაკოვანი და ყრუ, რომელმაც ვერ გაიგონა, როცა ჯარისკაცები ინსტრუქციებს უხსნიდნენ. იფიქრეს რა, რომ იგი მათ განზრახ არ ემორჩილება, ჯარისკაცებმა მას იარაღი ესროლეს, რამაც მოხუცებული დაუყოვნებლივ იმსხვერპლა. რესპონდენტმა ზუსტად არ იცოდა თავდამსხმელების ვინაობა, რადგანაც იგი იმ დროს სოფლიდან

გაქცეული იყო. მისი განცხადებით, როგორც მეზობლებმა უთხრეს, თავდამსხმელები სავარაუდოდ, „ჩრდილოკავკასიელები“ იყვნენ (ზოგიერთი სამხედრო შენაერთი, რომელიც რუსეთის ფედერაციამ გამოაგზავნა საქართველოში 2008 წელს იყო რუსეთის ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდან, რის გამოც შესაძლებელი იყო მათი სახეზე იდენტიფიცირება)[53].

ფოტო: დამწვარი სახლი.
სოფ. გუგუტიანთკარში 2008 წელს დამწვარი სახლის ნანგრევები.
ფოტო გადაღებულია 2017 წლის 29 ივნისს - ©FIDH-HRIDC

დ.ქ.-მ, 66 წლის ქალმა, ასევე სოფელ ავლევიდან, გაიხსენა, თუ როგორ გადაწყვიტა, დარჩენილიყო სოფელში 2008 წლის აგვისტოში. მან საკუთარი თვალით დაინახა, როგორ გაძარცვეს და გადაწვეს მისი სახლი მაროდიორებმა[54]. ამას გარდა, მან განაცხადა, რომ მას ჰყავდა ორი ძროხა და ორი ხბო, რომელიც მაროდიორებმა გაიტაცეს. რესპონდენტმა განაცხადა, რომ იგი თხოვდა მათ, არ წაეყვანათ ძროხები, რადგანაც მან ყველაფერი დაკარგა. დაზარალებული აცხადებს, რომ ისინი საუბრობდნენ ოსურ და რუსულ ენებზე და ერთ-ერთმა მაროდიორმა მას უთხრა: „გინდა შენც მოგკლა?“ დაზარალებულმა განაცხადა, რომ ამ დროს მას შიშისაგან გული წაუვიდა და როცა გონს მოეგო, მისი ძროხები წაყვანილი იყო. მან განაცხადა, რომ იმ პერიოდში მას ეძინა მეზობლების სახლში ან თავისი სახლის ნამწვავებში. ამ დროს ზაფხული იყო და მას ასევე ეძინა ეზოში. მას ძალიან ეშინოდა, რადგანაც მაროდიორები ხშირად უკან ბრუნდებოდნენ, ვიდრე რუსმა სამხედროებმა არ დაამყარეს კონტროლი სოფელში. მისი მთელი საკვების მარაგი დაიწვა და სექტემბრის ბოლომდე ის იღებდა იმ ხილსა და ბოსტნეულს, რასაც ეზოში პოულობდა. დაზარალებულზე აღნიშნულმა ამბის გახსენებამ ცხადი ზეგავლენა იქონია. მან თქვა, რომ „არ სურს ამ ტრაგედიის გახსენება“, რადგანაც შიმშილობდა და იყო თითქმის სრულიად მარტო სამეზობლოში.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის დელეგაციამ მსგავსი ისტორიები ჩაიწერა სოფელ **ცერონისში** გამოკითხული მსხვერპლებისგანაც. მათი მოხუცი ნათესავებიც ასევე დარჩნენ სოფელში და საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნავდნენ, როცა მათ სახლებს ძარცვავდნენ და წვავდნენ. ხშირად ეძინათ გარეთ. ერთ-ერთი რესპონდენტი აცხადებდა, რომ მის მოხუც დედას ფილტვების ანთება დაემართა, რადგან სახლის დაწვის მერე იძულებული გახდა, გარეთ დაეძინა[55]. 80 წლის მამაკაცი იხსენებდა, როგორ დაემართა გულის შეტევა, როცა მისი სახლი დამწვარი ნახა[56]. ამის მსგავსად, ერთ-ერთი რესპოდენტი იხსენებდა, როგორ დარჩა თავის მშობლიურ სოფელ **დიცში** კონფლიქტის დროს, უჭირდა წასვლაზე გადაწყვეტილების მიღება და საბოლოოდ როცა გადაწყვიტა სოფლიდან წასვლა, მისი წასვლის შემდეგ სოფელში დაახლოებით 8 ადამიანი დარჩა, მათ შორის - 5 ხნიერი ქალბატონი[57].

როგორც ზემოთ აღწერილი ისტორიებიდანაც ჩანს, კონფლიქტის დაწყებისას სოფლებში, ძირითადად, მოხუცები დარჩნენ, რომელთა საცხოვრებელი პირობები კონფლიქტიდან ცხრა წლის მერე კიდევ უფრო გაუარესდა. ბევრი გარდაიცვალა, დანარჩენებს კი კვლავ იმედი აქვთ, რომ სამართლიანობა მათ სიცოცხლეშივე აღდგება. უფრო მეტიც, ფედერაციასთან და ცენტრთან საუბრისას, ბევრი წუხდა ჯანმრთელობის პრობლემებზე, ფსიქოლოგიურ ტრავმაზე და სამედიცინო დახმარების არარსებობაზე. მაგალითად,

53. ინტერვიუ დ.თ.-სთან, სოფელი - ავლევი, 2017 წ. 28 ივნისი
54. ინტერვიუ დ.კ.-სთან, სოფელი - ავლევი, 2017 წ. 28 ივნისი
55. ინტერვიუ თ.ჭ.-სთან ცერონისი, 28 ივნისი, 2017 წ.
56. ინტერვიუ დ.ც-სთან, სოფელი ცერონისი, 28 ივნისი, 2017 წ.
57. ინტერვიუ რ.დ-სთან, სოფელი დიცი, 29 ივნისი, 2017 წ.

ლონდონის ჰიგიენისა და ტროპიკული მეცნიერების სკოლის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული ადამიანები ომის დასრულებიდან წლების მერეც განიცდიან მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებს. კვლევა მიანიშნებდა სომატურ სტრესზე (SD) კონფლიქტით დაზარალებულ მშვიდობიან მოსახლეობაში[58]. ამას გარდა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან საქართველოში ჩატარებული გამოძიების პერიოდში, დანაშაულების ბევრმა მოწმემ შესაძლოა, ველარ გაიხსენოს 10 წლის წინ მომხდარი მოვლენების დეტალები. .

ამის გამო, ფედერაცია და ცენტრი მოუწოდებს ICC-ის პროკურატურის ოფისს (OTP) მხედველობაში მიიღოს ბევრი მსხვერპლის ასაკი, რაც გარკვეულ გავლენას მოახდენს დანაშაულების შედეგის შეფასებაზე დაზარალებულ მოსახლეობაში. ზემოთ ნახსენები მიზეზებიდან გამომდინარე, ICC-ისპროკურატურის ოფისს (OTP) მოვალეა, იმოქმედოს სწრაფად, რათა უზრუნველყოს მსხვერპლთა უნარი, მონაწილეობა მიიღონ და იხილონ სამართლიანობის აღდგენა საკუთარ სიცოცხლეშივე.

3) ცხოვრება შიშსა და საფრთხეში

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს ომი მხოლოდ რამდენიმე დღეს გაგრძელდა, მისი შედეგები დღესაც გავლენას ახდენს ათასობით ადამიანის ცხოვრებაზე. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის გამყოფი ხაზი კვლავ ზღუდავს იქ მცხოვრები ადამიანების გადაადგილების უფლებას. 2009 წლის აპრილიდან, რუსეთის უშიშროების სამსახურის (ФСБ) დაქვემდებარებაში მყოფი მესაზღვრეები სრულად აკონტროლებენ გამყოფი ხაზის დემარკაციის პროცესს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში[59]. მაგალითად, 2013 წლის ივნისში, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გავლების გამო. საქართველო აცხადებდა, რომ რუსეთი აგრძელებდა ტერიტორიის „ანექსიას“ და მავთულხლართებს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უფრო ღრმად ავლებდა. რუსეთს დაქვემდებარებული „მესაზღვრეები“ აკავებენ საქართველოს მოქალაქეებს გამყოფ ხაზთან ახლოს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოხატა შეშფოთება, გაგზავნა საპროტესტო ნოტა რუსეთში შვეიცარიის შუამავლობით. 2014 წლის თებერვლის ბოლოს, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ რუსი სამხედროების მიერ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე მავთულხლართების გაბმის „სრულიად უაზრო“ პროცესი მიზნად ისახავს „კონფლიქტის შენარჩუნებას“ და მოსახლეობის შემდგომ გაყოფას[60].

საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ანგარიშის - „საქართველოს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა“ მიხედვით, 2016 წელი განსაკუთრებით რთული იყო კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის გახშირებული მკვლელობების, დაკავებისა და გაუჩინარების ფაქტების გამო[61]. მაგალითად, ომბუდსმენი ანგარიშში მიმოიხილავს 2016 წლის 28 მაისს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორდიდან გაუჩინარებული ნ.ს.-ს საქმეს[62], რომელიც ბოლოს გამყოფ ხაზთან ნახეს. მას შემდეგ, ნ.ს. უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. ამგვარ საქმეებს მუდმივად განიხილავენ ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების

58. იხილეთ: რ.მ. კორმელას, ნ. მახაშვილი, ი, ჩიქოვანი, ვ. პატელი, მ. მაკკიი, ჯ. ბისონი და ბ. რობერტსი, „სომატური სტრესის ნიშნები საქართველოს რესპუბლიკის კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში“, J. Psychosom Res. 2015 მაისი; 78(5): 466-71,https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/25676335 და ლ. საქსონი, ნ. მახაშვილი, ი. ჩიქოვანი, მ. სეგუინი, მ. მაკკიი, ვ. პატელი, ჯ. ბისონი და ბ. რობერტსი, „პრობლემის მოგვარების სტრატეგიები და მენტალური ჯანმრთელობის შედეგები საქართველოს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში“, Epidemiol Psychiatr Sci, 2017 ივნისი; 26(3); 276-286,https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5419062/

59. ფედერალური უშიშროების სამსახურის პრეს-ცენტრის მიმართვა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართ, ხელმისაწვდომია რუსულ ენაზე: http://cominf.org/node/1166486597

60. „მარგველაშვილი გმობს მავთულხლართების გაბმის პროცესს“, სივილ ჯორჯია, 26 თებერვალი, 2014 http://www.civil.ge/geo/article.php?id=27881&search=

61. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, 2016. გვ. 4.

62. ფედერაციის და ცენტრის დელეგაციას მიეცა შესაძლებლობა, გასაუბრებოდა ნ.ს.-ს დედას, რომლის მონათხრობი ასახულია საქმეში # 2.

მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე[63]. თუმცა, ომბუდსმენის განცხადებით, თანამშრომლობის ნაკლებობა აფერხებს ეფექტიან ქმედებას და დამნაშავეების დასჯას.[64] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტატისტიკური მონაცემებით, 2016 წელს გამყოფი ხაზის გადაკვეთისთვის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დააკავეს 327 ადამიანი, მათ შორის 21 არასრულწლოვანი და 32 ქალი. აფხაზეთის გამყოფი ხაზის მიმართულებით დაკავებების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 5-10% შეადგენს. დანარჩენი კი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში დაკავებულებზე მოდის[65].

თუმცა, როგორც ომბუდსმენი აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახერხებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაკავების დოკუმენტირებას, ეს სტატისტიკა არასრულია[66]. უფრო მეტიც, ზოგიერთ დაკავებულს მალევე ათავისუფლებენ გამოსასყიდის გადახდის სანაცვლოდ და მსგავსი ფაქტების აღრიცხვა საერთოდ არ ხდება.

2017 წელსაც გაგრძელდა ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით ადამიანების დაკავება. მაგალითად, რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფმა მესაზღვრეებმა **ხაშურის მუნიციპალიტეტში 4 ქართველი დააკავეს.** ინციდენტი სოფელ წაღველსა და ბროლოსანში მოხდა, როდესაც ადგილობრივები მოსავალს იღებდნენ. ისინი მოულოდნელად დააკავეს ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით. გატაცებულები უარყოფდნენ ე.წ. საზღვრის გადაკვეთას და ოკუპირებული რეგიონის ცენტრალური ქალაქის, ცხინვალის იზოლატორიდან გათავისუფლედნენ გირაოს გადახდის სანაცვლოდ, რომელიც 2 000 რუსულ მანეთს (დაახლოებით 90 ლარს, 35$) შეადგენს[67]. უფრო მეტიც, 2017 წლის აპრილში, რუსმა სამხედროებმა დააკავეს საქართველოს მოქალაქე, როცა ის თავის სოფელში ნახირს მწყემსავდა.

68 წლის ელდარ გუნდიშვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ აძვიდან გაიტაცეს 2016 წელს, როდესაც ის ნახირში იყო ახალგაზრდებთან ერთად მინდორში. ადგილობრივები და ოჯახის წევრები აცხადებდნენ რომ რუსი სამხედროები მათ გამყოფი ხაზის სიახლოვეს დაუპირისპირდნენ. უფრო ახალგაზრდებმა მოახერხეს გაქცევა, მაგრამ გუნდიშვილი კი დააკავეს და სავარაუდოდ, ცხინვალის დროებითი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს[68]. 68 წლის მამაკაცს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, მისი ოჯახი კი უკიდურესად რთულ სოციალურ პირობებში ცხოვრობს სოფელ აძვში. გუნდიშვილის ცოლი ჟურნალისტებთან აცხადებდა, რომ მათი სახლი „ოკუპანტების საგუშაგოდან დაახლოებით 200-300 მეტრში მდებარეობს“.

ცხინვალის რეგიონის სოფელ დისევის მცხოვრები გიორგი გიუნაშვილი 2016 წლის 8 ივნისს დააკავეს „დივერსიისა და ტერორისტული საქმიანობის“ ბრალდებით და ასევე „საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო“. მოგვიანებით, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სამართალდამცველებმა გიუნაშვილს ბრალდება დაუმძიმეს „უკანონო შეიარაღებული ჯგუფის ფორმირებისთვის“, რაზეც ცხინვალის დე-ფაქტო სასამართლომ 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. 2017 წლის 3 თებერვალს[69], სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სასამართლოს გადაწყვეტილება. ქართული მედია ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მიმდინარეობდა მის გათავისუფლებაზე მოლაპარაკებები

63. ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფასილიტაციას ახდენს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და ეუთო. 2009 წლის თებერვალში ჟენევის დისკუსიებისას მიღწეული შეთანხმებით, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფარგლებში რეგულარული შეხვედრები იმართება კონფლიქტის მხარეებს შორის. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, გაეროს, ეუთოს, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები იყენებენ შესაძლებლობას, განიხილონ და მოაგვარონ კონკრეტული ინციდენტები და საკითხები.

64. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, 2016. გვ.12.

65. იქვე.

66. იქვე.

67. “საქართველოს მოქალაქეები გათავისუფლდნენ ოკუპანტების პატიმრობიდან“, 16 მაისი, 2017 წ.: http://agenda.ge/news/79547/eng

68. „რუსმა სამხედროებმა ცხინვალთან ახლოს ქართველი გაიტაცეს“, 26 აპრილი, 2017 წ.: http://agenda.ge/news/78435/eng

69. „ცხინვალმა საქართველოს მოქალაქეს 20-წლიანი პატიმრობა შეუფარდა,“ 2017 წლის 8 თებერვალი, http://www.civil.ge/geo/article.php?id=31012&search

ფოტო: გამყოფი ხაზის აბრა.
ნიშანი აღმართა სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ გამყოფი ხაზის აღსანიშნავად, სოფელი გუგუტიანთკარი, საქართველო. ფოტო გადაღებულია 2017 წლის 29 ივნისს, ©FIDH-HRIDC

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზის საშუალებით[70]. გიუნაშვილი 2017 წლის 26 ნოემბერს გათავისუფლდა. გათავისუფლებისას პირდაპირ საქართველოს ხელისუფლებას არ გადასცეს. ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ იგი გადასცა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას, რომელსაც ის სავარაუდოდ სჭირდებოდა საქართველოს მხარის მიერ დაკავებული დაუდგენელი პატიმრის გაცვლისთვის[71]. ანგარიშის მომზადების პერიოდში საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ დაუდასტურებია ინფორმაცია გიუნაშვილის სანაცვლოდ ვინმეს გათვისუფლებაზე. საქართველოს სახალხო დამცველმა, გიუნაშვილის გათავისუფლების თაობაზე გავრცელებულ განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ კვლავ გრძელდება უკანონო დაკავებები, როგორც აფხაზეთის ისე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე[72].

ამის მსგავსად, საზღვრისპირა სოფლებში, **ავლევსა და დვანში,** ხშირია ადგილობრივების **გატაცება და უკანონო დაკავებები[73].** ფედერაციის და ცენტრის დელეგაციის მიერ გამოკითხული ადამიანების უმრავლესობას ეშინოდა დაკავების და შიშობდნენ, რომ გამყოფი ხაზი ნელ-ნელა საქართველს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაში ღრმად მოიწევს. სოფელ ავლევში ორი ადამიანი გამოიკითხა[74], რომლებმაც განაცხადეს, რომ რამდენიმე დღით ადრე მათი მეზობლები ნახირში იყვნენ და გადარჩნენ დაკავებას. ადგილობრივები ამბობდნენ, რომ ძალიან დიდი სიფრთხილე მართებთ შინაური ცხოველების მინდორში მწყემსვის დროს და ძირითადად ჯგუფებად მიდიან, რათა რუს სამხედროებთან დაპირისპირებისას თავის დაღწევა მოახერხონ. მათი თქმით, როდესაც რუსეთის არმია სამხედრო წვრთნებს ატარებს, ხშირად ესმით სროლის ხმა, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში დაბნეულობას და შიშს იწვევს.

სოფელ ცერონისში ვესაუბრეთ თ.ჭ.-ს, რომელმაც განაცხადა, რომ ის და მისი ოჯახი **მომავალს შიშით უყურებს. ფიქრობენ, რომ ომი შესაძლოა, განმეორდეს.** ამ შიშს მუდმივად ცვალებადი გამყოფი ხაზი აძლიერებს[75]. უფრო მეტიც, რესპონდენტი აცხადებდა, რომ **მათი გადაადგილების უფლება** უხეშად იზღუდება, და ვერ ახერხებენ გამყოფ ხაზზე მავთულხლართის გადაკვეთას. ზ.ზ. 2008 წლის ომის მსხვერპლია. მისი სახლი გაიძარცვა. ოჯახის წევრები იძულებული გახდნენ, წასულიყვნენ სოფლიდან, სადაც მხოლოდ კონფლიქტის დასრულების შემდეგ დაბრუნდნენ. 2015 წლის ზაფხულში არ არსებობდა **არანაირი ბანერები და ნიშნები** გამყოფ ხაზთან. იგი თავის 14 წლის შვილთან ერთად ძროხებს აძოვებდა[76], როცა შვიდმა რუსმა სამხედრომ დააკავეს. მამა-შვილი გადაიყვანეს ძვილეთის სამხედრო ბაზაზე. რესპონდენტმა განაცხადა, რომ მისი შვილი მალევე გაათავისუფლეს, რადგან არასრულწლოვანი იყო და მანქანით უსაფრთხო ადგილზე მიიყვანეს. უთხრეს, დაბრუნებულიყო საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე. მამა კი გადაიყვანეს ცხინვალის იზოლატორში, სადაც სამი დღე გაატარა. მისი მეუღლის მშობლები ცხინვალში ცხოვრობენ. ამიტომ მათ შეძლეს **ჯარიმის გადახდა 500 ლარის** ოდენობით. იზოლატორში მან ნახა საქართველოს ექვსი მოქალაქე, რომლებიც ასევე დაკავებულები იყვნენ. ორი მათგანი ერთი თვის წინ იყო დაკავებული, მაგრამ მათ არ ჰყავდათ ნათესავები ცხინვალში, რომლებიც შეძლებდნენ

70. იხ. „ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში გამართული მე-80 შეხვედრა, 7 სექტემბერი, 2017 წ.: http://www.osce.org/chairmanship/338646

71. იხილეთ „სავარაუდოდ ქართველი პატიმარი გაცვლეს“ 29 ნოემბერი 2017, http://www.civil.ge/eng/article.php?id=30679

72. სახალხო დამცველის განცხადება გიორგი გიუნაშვილის ცხინვალის ციხიდან გათავისუფლების შესახებ, 27 ნოემბერი, 2017 წ http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-cxinvalis-cixidan-moqalaqe-giorgi-giunashvilis-gatavisuflebastan-dakavshirebit.page

73. მაგალითად: „გატაცებულია ორი ადამიანი სოფელ დვანიდან“, 31 ოქტომბერი, 2015 წ. http://www.interpressnews.ge/en/conflicts/73451-two-kidnapped-from-dvani-village.html?ar=A

74. ინტერვიუ დ.თ-სა და რ.თ-სთან. სოფელი ავლევი, 28 ივნისი, 2017 წ.

75. ინტერვიუ თ.ჭ.-სა და ტ.კ.-სთან, ცერონისი, 28 ივნისი, 2017

76. ამჟამად არის ნიშანი, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უფრო ღრმად შეიჭრა.

გათავისუფლებაში დახმარებას. რესპონდენტის თქმით, ხშირად ადამიანებს აქვთ ჯარიმის გადასახდელი ფული, მაგრამ ვერ ახერხებენ თანხის მიწოდებას დე-ფაქტო მხარის წარმომადგენლებისათვის. რესპონდენტს ძალიან შეეშინდა, როცა „მტერმა" შვილთან ერთად დააკავა. მან ფედერაციისა და ცენტრის დელეგაციას განუცხადა, რომ რუსმა სამხედროებმა მისი ბიჭი მიწაზე დააგდეს და ბორკილები დაადეს. დაკავების იზოლატორში რაღაც დოკუმენტებს მოაწერა ხელი, მაგრამ არ იცის, რა ეწერა იქ, მიუხედავად იმისა, რომ თარჯიმანი ადგილზე იმყოფებოდა.

მისიის დროს გამოკითხული 2008 წლის კონფლიქტის სხვა დაზარალებულებმაც იგივე აზრი გამოთქვეს **საფრთხის შემცველი გარემოსა და იმ შიშის შესახებ, რაც გამყოფ ხაზთან ცხოვრებას უკავშირდება.** ერთ-ერთი მსხვერპლი სოფელ აბისიდან აცხადებდა, რომ მას „სურს მოგვარდეს **მუდმივად ცვალებადი საზღვრის** პრობლემა", რადგან ამჟამად უსაფრთხოდ ვერ გრძნობს თავს. რესპონდენტი ამბობდა, რომ ქვეყნების წარმომადგენლები ხვდებიან ჟენევაში, „მაგრამ პოლიცია და სამხედროები ვერაფერს უხერხებენ 10 ჰექტარ მიწას, რაც სოფელ ავლევში მიიტაცეს"[77]. მეორე რესპონდენტმა სოფელ დიციდან გვიამბო, როგორ დააკავეს მისი ვაჟი, როცა სარწყავი წყლის გამოსაშვებად გადავიდა გამყოფი ხაზის იქით და გადაიყვანეს ერედვის სამხედრო ბაზაზე. მის შვილს კარგად ექცეოდნენ, მაგრამ დააჯარიმეს და იმავე დღეს გაათავისუფლეს[78].

სიტუაცია ასეთივე მძიმე დაგვხვდა სოფელ **დვანშიც**, სადაც რესპონდენტებმა დელეგაციის წევრებს აცნობეს, რომ სოფელში გორის თავზე მდებარეობს სოფლის **სასაფლაო და სამლოცველო**. სამლოცველო მე-17 საუკუნეში აშენდა და მასში ერთად ლოცულობდნენ ქართველებიც და ოსებიც. კონფლიქტის შემდეგ სამლოცველო შემოღობეს ზიგზაგის ფორმით ისე, რომ სასაფლაო საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩა. რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ როცა მათ ვინმეს დასაფლავება უნდათ, ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ატყობინებენ, რომლებიც თავის მხრივ, ინფორმაციას აწვდიან „მეორე მხარეს" და ადგილობრივებს სასაფლაომდე აცილებს პოლიცია. მათ თქვეს, რომ იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივები დააკავეს საფლავზე საკუთარი ნათესავების **საფლავების მონახულებისას** და დააჯარიმეს. აქედან გამომდინარე, ადგილობრივები აცხადებდნენ, რომ მშვიდობიან პერიოდშიც კი საკუთარ ნათესავებს ვერ ასაფლავებენ და ვერ გადიან გარდაცვლილი ნათესავების საფლავებზე დაკავების შიშის გარეშე. აქ ადამიანებს როცა აკავებენ, მათი ოჯახის წევრი მიდის მავთულხლართთან, სადაც რუსულ მანეთებს აძლევენ მეორე მხარის დაცვის სამსახურის თანამშრომლებს. ამ ოპერაციის შემდეგ ოჯახის დაკავებულ წევრს ათავისუფლებენ ცხინვალის დაკავების ცენტრიდან. გათავისუფლებული ადამიანი ქართულ პოლიციას მიყავს განყოფილებაში და შემდეგ ბრუნდება სახლში. რესპონდენტები, ასევე, აცხადებდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება, ძირითადად, ადამიანებს დასვენების დღეებში აკავებს, რათა ორშაბათამდე გააჩერონ იზოლატორში[79].

სოფელ დვანში 2008 წლის კონფლიქტის კიდევ ერთი მსხვერპლი აცხადებდა, რომ ისინი ცხოვრობენ **„გაყინული კონფლიქტის"** პირობებში. მათი მშვიდობა მყიფეა, რადგან საზღვრების ცვლილება ნიშნავს, რომ რაღაც ეტაპზე მოსალოდნელია „სიტუაციის აფეთქება". მან რამდენჯერმა გაიმეორა, რომ სოფელი საფრთხეში ცხოვრობს, რადგან მათ „სამი მხრიდან ესაზღვრება სამხრეთ ოსეთის ტერიტორია და მათ მუდმივად უთვალთვალებენ". სოფელ მერეთში მცხოვრები მსხვერპლი, რომლის მამაც კონფლიქტის დროს გარდაიცვალა, აცხადებდა, რომ მამამისი სოფელ ატენში დაკრძალეს, რადგან „არავინ იცის, როგორ შეიცვლება ერთ დღეს საზღვრები და შეიძლება ვეღარ წავიდე სოფელ მერეთში. ამიტომ მირჩევნია, ჩემი ძვირფასი ადამიანები ჩემთან ახლოს იყვნენ დაკრძალული"[80].

ამის გამო, გამყოფ ხაზთან ახლოს მცხოვრები ადამიანები კვლავ დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გატაცების შიშში აგრძელებენ ცხოვრებას. ეს არის „**მცოცავი**

77. ინტერვიუ კ.კ.-სთან სოფელ აბისში, 28 ივნისი, 2017 წ.

78. ინტერვიუ ვ.მ.-სთან. სოფელი დიცი. 29 ივნისი, 2017 წ.

79. ინტერვიუ თ.გ. და თ.ა.-სთან. სოფელი დვანი. 30 ივნისი, 2017 წ.

80. ინტერვიუ გორში კ.ჯ.-სთან, წარმოშობით სოფელ მერეთიდან. 1 ივლისი, 2017 წ.

საზღვრების“ შედეგი[81], რითაც რუსი სამხედროები მავთულხლართების, ნიშნების და სხვა ბანერების დახმარებით საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას განაგრძობენ. ფედერაციისა და ცენტრის დელეგაციის წევრებმა საკუთარი თვალით იხილეს სოფელ გუგუტიანთკარში მავთულხლართით გაყოფილი სახლი, რომლის ერთი ნაწილი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო მეორე ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე[82]. „მცოცავი საზღვრის“ პრობლემა მხოლოდ შუაზე გაყოფილ სახლებს არ ეხება. ის შუაზე ხლეჩს საზოგადოებასაც, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ.

როგორც ზემოთაც ითქვა, საქმეების შერჩევის სტრატეგიის ფარგლებში, ICC-ის პროკურატურის ოფისმა სხვა საკითხებთან ერთად, მხედველობაში უნდა მიიღოს გამოძიებისა და პასუხისგების ზემოქმედება როგორც დანაშაულის მსხვერპლებზე და დაზარალებულ მოსახლეობაზე, ასევე - ***ამჟამინდელ კრიმინალურ მდგომარეობაზე***[83].

4) დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და გარემოს ზიანი

საზოგადოებებს შორის კავშირის დარღვევა, რაც ხელს უშლის სამომავლო შერიგებას

ფოტო: ფოკუსი ხელებზე. ფედერაციის და ცენტრის დელეგაციის მიერ სოფელ დვანში გამოკითხული მსხვერპლი. ფოტო გადაღებულია 30 ივნისს, 2017 წ. ©FIDH-HRIDC

გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადამიანები კვლავ 2008 წლის კონფლიქტის შედეგად გამოწვეულ სოციალურ პრობლემებში ცხოვრობენ. მაგალითად, გამყოფი ხაზის გავლება ნიშნავს, რომ ერთად აღარ ცხოვრობს ბევრი ოსი და ქართული ოჯახი და თემი, რომლებიც მეგობრობდნენ და თანამშრომლობდნენ, ერთად აღნიშნავდნენ ქორწილებს და ერთად დადიოდნენ სამძიმარზე. ეს აშკარად აფერხებს შერიგების ხანგრძლივვადიან პერსპექტივას ორ ხალხს შორის.

ამ პრობლემაზე ბევრი გამოკითხული მსხვერპლი საუბრობდა ფედერაციისა და ცენტრის დელეგაციის წევრებთან.

თ.ჭ. სოფელ ცეროონისიდან ამბობდა, რომ მისი ბებია ეთნიკურად ოსია და ცეროონისის მოსახლეობას კარგი ურთიერთობა ჰქონდა სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახლობლებთან. ფაქტობრივად, ქართველები და ეთნიკური ოსები ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ და „ჩვენი ურთიერთობა კონფლიქტით არ უნდა დასრულებულიყო“[84]. ასევე, თ.ჭ.-მ დაამატა, რომ 2008 წლამდე ისინი ხშირად მიდიოდნენ ზნაურში პროდუქტის საყიდლად და ზოგადად, ქართველებსა და ოსებს შორის აქტიური სავაჭრო ურთიერთობა იყო.

---

81. ხშირად გამყოფ ხაზს მოიხსენიებენ როგორც „მცოცავ“ საზღვარს მისი მუდმივი ცვლილებების გამო.
82. იხ., ასევე, „სახლში დაბრუნებისას საკუთარი სახლი „ორ სხვადასხვა ქვეყანაში“ აღმოჩდა“ - CNN-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. 10 იანვარი, 2017 წ.: http://edition.cnn.com/2017/01/09/europe/georgia-south-ossetia-russia-border/index.html
83. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურა, „საქმეთა შერჩევის და პრიორიტეტიზაციის პოლიტიკა“, პარაგრაფი 50.
84. ინტერვიუ თ.ჭ.-სთან სოფელ ცეროონისში. 28 ივნისი. 2017 წ.

ფოტო: სოფლების - ცერონისის და ავლევის აბრები, საქართველო. ფოტო გადაღებულია 28 ივნისს, 2017 წ. ©FIDH-HRIDC

დ.თ. და რ.თ. ავლევიდან თვლიან, რომ ახლა **ორ ხალხს შორის ურთიერთობა დაძაბულია.** მაგალითად, დ.თ.-მ განაცხადა, რომ მის ვაჟს ნათლული ყავს სამხრეთ ოსეთში და მასთან სატელეფონო საუბრის შემდეგ შენიშვნა მიიღო, რადგან „მტერს ესაუბრა“[85]. ზნაურის რაიონი დაახლოებით 2 კილომეტრითაა დაშორებული მათი სოფლიდან, და როგორც დ.თ.-მ თქვა, ისინი მოსავალს იქ ყიდდნენ. ისიც განაცხადა, რომ მისი ნათლია ზნაურში ცხოვრობს და მანაც შენიშვნა მიიღო ნათლიასთან კონტაქტის გამო. ამას გარდა, დ.თ. აცხადებდა, რომ მისი სამი შვილის ნათლიაც გამყოფი ხაზის იქით ცხოვრობს და ქართული ტრადიციის მიხედვით, ნათლია უფრო ახლო ნათესავად ითვლება, ვიდრე სისხლით ნათესავი. ორივე მხარეს ეკრძალება ერთმანეთთან კონტაქტი.

რესპონდენტები ამბობდნენ, რომ მათ ყავთ ნაცნობები ზნაურის რაიონში და ზოგადად, მშვიდობიანი თანაცხოვრება ჰქონდათ. უფრო მეტიც, ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ. მაგალითად, რ.თ.-ს რძალი სამხრეთ ოსეთიდანაა. იგი ამბობს, რომ ომს ნათესავებთან ურთიერთობაზე გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ, განაცხადა, რომ შერეული ოჯახები ახლა ველარ ახერხებენ ურთიერთობას და ორ ხალხს შორის კავშირიც შეუძლებელია. „შეუძლებელია, შეგიყვარდეს ვინმე, უერთიერთობის გარეშე!“ ამდენად, სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ოსებსა და ქართველებს შორის კომუნიკაცია მინიმალურია. სამხრეთ ოსეთი დანარჩენი საქართველოსგან სრულიად იზოლირებული რჩება. ეს განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ორ საზოგადოებას შორის სამომავლო შერიგების პროცესზე.

შეზღუდული წვდომა სასოფლო სამეურნეო ნაკვეთბზე, რაც გავლენას ახდენს ცხოვრების პირობებზე

„მცოცავმა საზღვარმა“ და 2008 წლის ომის შემდეგ გამყოფი ხაზის გავლებამ განსაკუთრებული ზიანი მიაყენა გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობას, რომელთა ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა. 2008 წლის ომის შემდეგ უმეტესობამ დაკარგა მიწები, ნაწილი ველარ ყიდის მოსავალს სამხრეთ ოსეთის რეგიონსა და რუსეთში, რასაც ადრე თავისუფლად ახერხებდნენ. ეს ყველაფერი აუარესებს მათ საცხოვრებელ პირობებს.

მაგალითად, დ.თ. ავლევიდან ამბობს, რომ 2008 წლამდე ისინი გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ. რესპონდენტმა მისიის წევრებს განუცხადა, რომ აღარ შეუძლია პროდუქტის გასაყიდად წაღება ცხინვალში ან ზნაურში, მაშინ როცა [ომამდე] ზნაურში მიდიოდნენ პროდუქტის საყიდლად, რადგან იქ უფრო იაფი ღირდა, ვიდრე გორში. უფრო მეტიც, მან განაცხადა, რომ ეშინია მოტაცების და ვერ მიდის გამყოფ ხაზთან მდებარე თავის ნაკვეთში. დ.თ.-ს კუჭ-ნაწლავის პრობლემა აქვს, გულიც აწუხებს, ნევროზიც და განსაკუთრებით ეშინია ხმაურის, მაგალითად - სამხედრო წვრთნების.

85. ინტერვიუ დ.თ. და რ.თ.-სთან სოფელ ცერონისში. 28 ივნისი. 2017 წ.

ის თავის ჯანმრთელობის პრობლემებს 2008 წლის კონფლიქტს უკავშირებს.

ვ.მ. სოფელ დიციდან[86] ამბობდა, რომ მისი ოჯახი სოფლის მეურნეობას ეწევა. ხილს და ბოსტნეულს კარალეთსა და თბილისში ყიდიან. ომამდე მოსავალს რუსეთში ყიდდნენ და ხილის წასაღებად მძღოლებს სამხრეთ ოსეთში ქირაობდნენ. ისინი 8 ჰექტარ მიწას ფლობენ და დღემდე აქვთ წვდომა ნაკვეთთან. თუმცა, მოსავალს რუსეთში ვეღარ ყიდიან. რესპონდენტმა მისიის წევრებს უთხრა, რომ 2008 წლამდე მათ უფრო მეტი შემოსავალი ჰქონდათ, როცა ვაშლს რუსეთში ყიდდნენ. მისი თქმით, მუდმივ შიშში ცხოვრობს, რადგან გამყოფი ხაზი მისი სახლიდან 500 მეტრში გადის და არ იცის, რას მოუტანს მომავალი.

სახალხო დამცველის განცხადებით, 2008 წლის ომის შემდეგ 138-კომლიან სოფელში მიწებზე წვდომა 60-მდე ოჯახმა დაკარგა. იქ, სადაც მიწის და სარწყავი წყლის პრობლემა არ დგას, მოსახლეობა **პროდუქტის მოყვანის სიძვირესა და რეალიზების პრობლემაზე ჩივის**[87]**.**

დ.გ., მ.გ. და ბ.გ. გუგუტიანთკარიდან[88] 800 m^2 მიწას ფლობდნენ, რომელიც ახლა საოკუპაციო ხაზის იქით მდებარეობს. ამჟამად ისინი გორში ცხოვრობენ, ვინაიდან მათი სახლი სრულიად განადგურებულია. მათი თქმით, ფინანსური შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, ურჩევნიათ, აღადგინონ სახლი და იცხოვრონ გუგუტიანთკარში. კონფლიქტამდე ოჯახი ამუშავებდა ნაკვეთს, რომელიც ამჟამად გამყოფი ხაზის მიღმაა, ყიდდნენ ხილს და ბოსტნეულს და ამ შემოსავლით ცხოვრობდნენ. ახლა, კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ მიდიან სოფელში, დამწვარი სახლ-კარის ნაკვეთში მცირე რაოდენობით ხილი და ბოსტნეული მოყავთ, რაც მხოლოდ მათ ყოფნით. აქვთ მიწის მორწყვის პრობლემა და ელოდებიან ახალი სარწყავი სისტემის გაყვანას სოფელში. მათ ფედერაციისა და ცენტრის მისიის წევრებს განუცხადეს, რომ წარსულში სამ ტონა ღვინოს ამზადებნდნენ და მისი გაყიდვით მიღებული შემოსავლით ცხოვრობდნენ. ახლა კი აღარაფერი აქვთ. „ახლა ვეღარაფერს ვაკეთებ - მთელი ჩემი ცხოვრების ნაშრომი განადგურდა“.

დვანში გ.კ.[89] ამბობს, რომ კვლავ საშიშია სოფელში ცხოვრება და იმ დილითაც ესმოდა სამხედრო წვრთნებისა და სროლის ხმები. მან თქვა, რომ რუსული სამხედრო განაყოფი 2 კილომეტრშია განლაგებული, მავთულხლართი კი 500 მეტრშია. მისი განცხადებით, ვინც შეძლო, ყველა წავიდა სოფლიდან, მაგრამ მას არ უნდა „გაიქცეს თავისი ქვეყნიდან, რადგან ვერ გახდება სხვა ქვეყანაში ლტოლვილი“. მსხვერპლი ამბობს, რომ 1 ჰექტარი მიწა ჰქონდა, სადაც ბოლოს 2010 წელს დაახლოებით 7-8 ტონა ვაშლი მოიყვანა. თუმცა, ნაკვეთი 2010 წელს დაკარგა,როცა გამყოფმა ხაზმა ქვეყნის ტერიტორიაზე კიდევ უფრო შიგნით გადმოიწია. დელეგაციის წევრებთან საუბარში თქვა, რომ 2010 წლის 21 სექტემბერს რუსი სამხედროები მოვიდნენ და დაიწყეს მავთულხლართების გავლება. მას უთხრეს, რომ ეს ტერიტორია ახლა სამხრეთ ოსეთის საკუთრება. ახლა გ.კ.-ს მხოლოდ 230 m^2 ფართის ნაკვეთი დარჩა, სადაც მხოლოდ ოჯახისთვის საკმარისი ბოსტნეულის მოყვანა შეუძლია. გ.კ.-მ დელეგაციას უთხრა, რომ თავისი დამწვარი სახლის აღდგენის ფინანსური შესაძლებლობა რომც ჰქონდეს, ეშინია, საომარი მოქმედებები ისევ განახლდება და მის სახლს ისევ დაანგრევენ.

---

86. ინტერვიუ ვ.მ.-სთან სოფელ დიცში. 29 ივნისი. 2017 წ.

87. როგორ ომბუდსმენი აცხადებს, *„საკუთრების უფლება აღიარებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 21–ემუხლით, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით. სათანადო საცხოვრებლის უფლება აღიარებული და გარანტირებულია რიგი საერთაშორისო კონვენციებით, მათ შორის - სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლით. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შესაბამისი რესურსების სიმწირე არ ათავისუფლებს სახელმწიფოს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტით აღიარებული უფლებების, მათ შორის სათანადო საცხოვრებლის უფლების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან“. იხ. სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ანგარიში, „კონფლიქტით* დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, 2016 წ. გვ. 10.

88. ინტერვიუ სოფელ გუგუტიანთკარში მცხოვრები დ.გ., მ.გ. და ბ.გ-სთან, რომელიც გორში გაიმართა. 29 ივნისი, 2017 წ.

89. ინტერვიუ გ.კ.-სთან სოფელ დვანში, 30 ივნისი, 2017 წ.

ფოტო: 2008 წლის ომის დროს დამწვარი სახლის ნანგრევები, სოფელი დვანი, საქართველო. ფოტო გადაღებულია 30 ივნისს, 2017 წელი ©FIDH-HRIDC

გამყოფი ხაზი სარწყავ სისტემას ბლოკავს

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, საქართველოს ხელისუფლებამ რეგიონში რამდენიმე ინფრასტრუქტრული პროგრამა განახორციელა, მთელი რიგი სერიოზული პრობლემები კვლავ მოუგვარებელი რჩება. მაგალითად, ახალი **სარწყავი სისტემა** არ არის ეფექტიანი ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლისთვის, რათა მორწყან თავიანთი ნაკვეთები[90].

ნაკვეთებზე წვდომის გარდა, ადმინისტრაციულმა გამყოფმა ხაზმა ქართულ მხარეს შეუზღუდა სარწყავ სისტემაზე წვდომაც, რაც ძალიან აზარალებს სოფლის მეურნეობას და შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალს ამცირებს. ომბუდსმენის შეფასებით, გამყოფი ხაზის 15 სოფლიდან წყლის პრობლემა არ აქვს მხოლოდ ერთს[91].

სოფელ დვანიდან თ.გ. და თ. ა.[92] ამბობენ, რომ მათ 800 m^2 ნაკვეთი ჰქონდათ, რომელიც 2010 წელს დაკარგეს მას შემდეგ რაც რუსმა სამხედროებმა გამყოფი ხაზი საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის სიღრმეში გადაწიეს. 2008 წლამდე მათ ჰქონდათ ხეხილი ნაკვეთში, მაგრამ ომის შემდეგ ხეები გახმა, რადგან ვერ რწყავდნენ. 2008 წლის მერე ისინი მხოლოდ მარცვლოვან კულტურას თესავდნენ და ისიც, მხოლოდ იმდენს, რომ ოჯახს სარჩენად ყოფნოდა. სამწუხაროდ, ახლა ეს შემოსავალიც დაკარგეს მცოცავი საზღვრის გამო. ამას გარდა, მათი უახლოესი სოფელი იყო მუგუთი და ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, ერთმანეთის ქორწილებსა და გასვენებებში მიდიოდნენ. როგორც ამბობენ, ეს ურთიერთობა დაკარგეს 2008 წლის ომის შემდეგ.

ინფრასტრუქტურული პრობლემები

გზის პრობლემა სატრანსპორტო გადაადგილებას პრობლემურს ხდის. 2016 წლის მარტში, რუსმა სამხედროებმა თითქოს დაიწყეს საგზაო სამუშაოები გორის რაიონის სოფელ ჯარიანში. ადგილობრივების ინფორმაციით, ომბუდსმენი აცხადებს, რომ გზა, რომელიც მათ ნაკვეთზე გადის, დაახლოებით 32 ოჯახს 30-40 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე უზღუდავს წვდომას. მათივე თქმით, გზის გაყვანის შემდეგ, 70 მეტრით გადმოიწია

90. Qartli.ge -ს ვიდეო გზებზე, სასმელი წყალი და ტრაქტორები დვანში, 30 მარტი, 2016 წ. https://www.youtube.com/watch?v=6CswGq-8Ru0

91. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა“, 8 ივნისი, 2017 წ. გვ. 5

92. ინტერვიუ თ.გ. და თ.ა.-სთან, სოფელი დვანი, 30 ივნისი, 2017 წ.

გამყოფმა ხაზმა[93].

ერთ დროს საზღვრისპირა სოფელ **ზარდიანთკარს** მოიხსენიებდნენ, როგორც „ქართულ-ოსური კონფლიქტის მიკრო პორტრეტს“[94]. 2016 წლის იანვრისთვის, დაახლოებით 18 ქართული და 6 ოსური ოჯახი ცხოვრობდა სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სოფელზე კონტროლი 2012 წელს დაიბრუნა[95], ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა კიდევ ვერ ახერხებს სახლებში დაბრუნებას და 2015 წლის მონაცემებით, ცხოვრობს სხვადასხვა რეგიონში - ნათესავებთან ან გორში მდებარე საბავშვო ბაღებში[96]. მათ უარი თქვეს სოფელში დაბრუნებაზე, რადგან იქ არ არსებობდა მინიმალური საცხოვრებელი პირობები და ეშინოდათ საბრძოლო მოქმედებების განახლების. სოფელში 2008 წლის ომის შედეგების აღმოსაფხვრელად მხოლოდ მცირე სამუშაოები განხორციელდა. არადა, სახლების უმრავლესობას საფუძვლიანი რეაბილიტაცია სჭირდება. სოფელში სარწყავი წყლის არქონაც დიდი პრობლემაა. უფრო მეტიც, სარწყავი წყლის არარსებობის გამო, ხალხი ვერ ამუშავებს მიწებს და საძოვრებზე ვერ გადიან[97].

ომბუდსმენის თქმით, ომიდან ცხრა წლის შემდეგ, სახალხო დამცველის ოფისს ბევრმა მოქალაქემ მიმართა საჩივრით. ისინი აცხადებენ, რომ მიმართეს ხელისუფლებას **კომპენსაციის** მისაღებად ან საომარი მოქმედებების შედეგად **დაზიანებული სახლების აღსადგენად,** მაგრამ მიმართვებს არანაირი რეაგირება არ მოყოლია ხელისუფლების მხრიდან[98]. ამას გარდა, ადამიანები კვლავ ცხოვრობენ დაზიანებულ სახლებში, უსახლკაროდ დარჩენის შიშით. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში.

93. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა“, 8 ივნისი, 2017 წ. გვ 5.

94. „შიდა ქართლის რეგიონი: „სოფელი ზარდიანთკარი - 2016 წლის იანვარი“, *კავკასიის გამოშვება: კონფლიქტის ტრანსფორმაციის ჟურნალი, 15 იანვარი, 2016 წ.* http://caucasusedition.net/monthly-review/shida-kartli-january-2016/

95. რუსმა სამხედროებმა ტერიტორია დატოვეს 2008 წლის 10 ოქტომბრის შედეგ და ზარდაიაანთკარი გახდა ბუფერული ზონა. მხოლოდ 2012 წლის გაზაფხულზე განაახლა ქართულმა პოლიციამ ამ სოფლებში პატრულირება, რომლის მიზანი უსაფრთხოების დაცვაა.

96. სახალხო დამცველის წლიური ანგარიში 2015 წ. გვ.817: http://ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

97. „შიდა ქართლის რეგიონი: „სოფელი ზარდიანთკარი - 2016 წლის იანვარი“, *კავკასიის გამოშვება: კონფლიქტის ტრანსფორმაციის ჟურნალი, 15 იანვარი, 2016 წ.* http://caucasusedition.net/monthly-review/shida-kartli-january-2016/ ; ასევე, იხილეთ ადამიანის უფლებათა სახლი - „ცხოვრება კონფლიქტით დაზარალებული ზონის სოფლებში“. 2 ოქტომბერი, 2014 წ.: http://humanrightshouse.org/Articles/20476.html

98. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა“, 2017 წ. 8 ივნისი.

IV - საქმეების მიმოხილვა

საქმე 1: დევნილები ომიდან ცხრა წლის მერე (ბერბუკის დევნილთა დასახლება)

ფედერაციის და ცენტრის დელეგაციის წევრები შეხვდნენ ცოლ-ქმარს - გ.გ.-სა და კ.ს.-ს, 2017 წლის 26 ივნისს თავიანთ სახლში, ბერბუკის დევნილთა დასახლებაში. ცოლ-ქმარი 2008 წლის ომის დაწყებამდე სოფელ თამარაშენში ცხოვრობდა. მათი თქმით, 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, დაძაბულობა მატულობდა და წამოვიდნენ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. მათი სახლი თამარაშენში ჯერ გაძარცვეს და მერე კი დაწვეს. მათ მეზობლებმა აცნობეს, რომ სახლი რუსმა სამხედროებმა დაანგრიეს მათი წამოსვლიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. გ.გ.-მ ნათესავის ბინას შეაფარა თავი გორის მახლობლად, სოფელ ახალშენში, ცოლი კი შვილებთან ერთად თბილისში წავიდა. იქ ისინი საბავშვო ბაღში, დევნილებისათვის მოწყობილ დროებით თავშესაფარში დაბინავდნენ. რესპონდენტებმა თქვეს, რომ თავშესაფარში 2008 წლის დეკემბრამდე დარჩნენ.

გ.გ. იხსენებდა, რომ 2008 წლის 9 აგვისტოს გორში კომბინატის დასახლება დაიბომბა რუსების მიერ და მისი ბიცოლის სახლიც მოჰყვა დაბომბვაში. დაბომბვის დროს დაიღუპნენ: ბიცოლა, დედამისი და რძალი, რომლებიც ომის დროს ბიცოლას ოჯახში აფარებდნენ თავს, ასევე დაიღუპა გ.გ.-ს ბიცოლის 13 წლის შვილიშვილი. ძმისშვილმა აცნობა ბიცოლას სახლის რუსული ავიაციის მიერ დაბომბვის ამბავი. გ.გ. მაშინვე გაემგზავრა გორში და მორგში მხოლოდ დედამისის სხეულის ნაწილებიღა იპოვა, რადგან სხეული დაბომბვის შედეგად იყო დაზიანებული. მისი დანარჩენი სამი ნათესავის ამოცნობა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან სხეულები დამწვარი იყო. რესპონდენტმა განაცხადა, რომ მისი რწმენით ბიცოლის სახლი დაიბომბა გორის ერთ-ერთ საჯარო სკოლასთან სიახლოვის გამო[99], რადგან იქ ქართველი სამხედრო რეზერვისტები იყვნენ დაბანაკებული.

რაც შეეხება აღნიშნული დანაშაულების გავლენას რესპონდენტებზე, როგორც აღნიშნეს, ძალიან განიცდიან, რომ არ შეუძლიათ თამარაშენში დაბრუნება. 2008 წლის ომის შემდეგ არც ერთ ქართველს არ აძლევენ იქ შესვლის უფლებას. მათ თქვეს, რომ სახლიდან „ახლა იქ აღარაფერი დარჩა“. უფრო მეტიც, ცეცხლის წაკიდებამდე სახლი ჯერ გაძარცვეს და ყველაფერი წაიღეს, რაც ებადათ. მათი განმარტებით, „მხოლოდ რუსული საიდენტიფიკაციო ბარათის მქონე ადამიანებს შეუძლიათ სოფელში შესვლა“. ცოლ-ქმარს ეშინია თამარაშენში დაბრუნება, რადგან იქ „რუსი სამხედროები“ დგანან. ამავე დროს, განაცხადეს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, მზად არიან, დაბრუნდნენ და ხელახლა დაიწყონ ცხოვრება თამარაშენში, მიუხედავად იმისა, რომ მათი ქონება გაძარცვული და განადგურებულია. მათი ვაჟიშვილი 2008 წლის ომამდე გარდაიცვალა და დაკრძალულია თამარაშენის სასაფლაოზე. გ.გ. ამბობს: „მინდა, დავბრუნდე და ჩემი შვილის საფლავის გვერდით დავსახლდე, თუნდაც - სასაფლაოზე“. ძალიან განიცდიან, რომ დღესასწაულებზე, მაგალითად - აღდგომა დღეს, არ შეუძლიათ შვილის და სხვა გარდაცვლილი ნათესავების საფლავზე გასვლა. კითხვაზე - თუ შეუძლიათ თამარაშენში სასაფლაოზე მაინც გავიდნენ, მამაკაცმა რესპონდენტმა გვიპასუხა, რომ შესაძლოა, რუსი სამხედროების თანხლებით, მხოლოდ შვილის საფლავის მონახულების უფლება მისცენ. მან ასევე აღნიშნა, რომ ბევრი დააპატიმრეს, როცა ე.წ. საზღვართან ახლოს საკვებ მცენარეებს აგროვებდნენ და მათაც დააკავებენ, თუკი შვილის საფლავზე გადასვლას ეცდებიან.

ამჟამად ცოლ-ქმარი ბერბუკის დევნილთა დასახლებაში კოტეჯში ცხოვრობს, სადაც ორი საძინებელია. უნდა აღინიშნოს, რომ კოტეჯები დროებითი სარგებლობისთვის აშენდა და ხანგრძლივი ცხოვრებისთვის არაა გათვლილი. მაგალითად, ტუალეტი გარეთ არის აშენებული და გ.გ. და კ.ს.-ს აბაზანა არა აქვთ. მისიის ვიზიტის დროს აშკარა იყო, რომ ოჯახი საკმაოდ ცუდ პირობებში ცხოვრობდა. ოჯახში, სულ მცირე, 5-6 არასრულწლოვანი ბავშვი იყო, მათ შორის - ორი ახალშობილი. სახლის წინ ეზოში

99. გორის მე-7 საჯარო სკოლა.

კი შინაური ფრინველები და ცხოველები ჰყავდათ. ასევე აქვთ მცირე ზომის ბაღი კოტეჯთან, რომელსაც ამუშავებენ. ცოლ-ქმარმა განაცხადა, რომ მათ სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი ჰყავთ. ასევე, უვლიან გ.გ.-ს ძმისშვილს, რომლის დედაც გორის დაბომბვის დროს დაიღუპა. 2016 წელს ბავშვს მამაც გარდაეცვალა და დაობლდა. 2008 წლის ომამდე, მათ თამარაშენში „ყველაფერი ჰქონდათ“ - ბაღი, საკუთარი სახლი, ორი მანქანა, ნაკვეთი, ძროხები და შეეძლოთ ნორმალურად ცხოვრება. საკმაოდ კარგი შემოსავალი ჰქონდათ სოფლის მეურნეობიდან და მოსავალს ცხინვალში ყიდდნენ. ამჯერად, მათ მხოლოდ მცირე ნაკვეთი აქვთ, სადაც მხოლოდ ოჯახისთვის საკმარისი მოსავალი მოყავთ და გასაყიდი არაფერი აქვთ.

ცოლ-ქმარმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებისგან ძალიან მცირე დახმარება მიიღეს. დაკარგული სახლის და ნაკვეთის სანაცვლოდ არანაირი კომპენსაცია არ მიუღიათ, გარდა კოტეჯისა ბერბუკის დევნილთა დასახლებაში, სადაც ამჟამადაც ცხოვრობენ. კოტეჯში შესახლებისას მისცეს „მაგიდა, ორი სკამი და 4 თეფში“. ორივე იღებს დევნილის დახმარებას 45 ლარის ოდენობით. მათი ერთ-ერთი ვაჟი გორში მუშაობს, მაგრამ ეს მუდმივი სამსახური არაა. გ.გ.-ს ძმამ, რომლის ცოლი გორის დაბომბვის დროს დედამთილთან ერთად დაიღუპა, მიიღო ორივე გარდაცვლილის კომპენსაციის სახით 20 000 ლარი.

წყვილმა განაცხადა, რომ მათთვის სამართლიანობის აღდგენა თამარაშენში და საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებაა. მათ ასევე თქვეს, რომ სამართლიანობის აღდგენა უნდა გულისხმობდეს მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნასაც.

საქმე 2: უგზოუკვლოდ დაკარგული (სოფელი ქორდი)

ფედერაციის და ცენტრის მისიის წევრები 2017 წლის 29 ივნისს შეხვდნენ ცოლ-ქმარს - ი.ბ.-სა და გ.ს.-ს სოფელ ქორდში. ი.ბ.-მ განაცხადა, რომ ომის დროს მისი ქმარი და დედამთილი სოფელში დარჩნენ, თვითონ და მისი რძალი კი თბილისში წავიდნენ, რათა თავი დაეღწიათ მუდმივი „დაბომბვებისგან“ და სროლებისგან. რუსმა სამხედროებმა დაიკავეს სოფელი და ხშირად სოფლის მოსახლეობას საჭმელს სთხოვდნენ. ძირითადად ზრდილობიანად ექცეოდნენ ადგილობრივებს. თუმცა, ი.ბ.-მ გაიხსენა მის ქმარსა და რუს სამხედროებს შორის მომხდარი ინციდენტი. სტრესული ვითარების გამო ქმარს საშუალება არ ჰქონდა, წვერი გაეპარსა და გრძელი წვერი ჰქონდა. ერთ დღეს იგი ქუჩაში შეხვდა რუს სამხედროებს[100], რომლებმაც აიძულეს, მუხლებზე დაჩოქილიყო და გაეპარსა წვერი იქვე, რადგან ვერ სცნობდნენ ვინ იყო. ი.ბ.-ს გადმოცემით, მისი ქმარი დაემორჩილა ბრძანებას და გაიპარსა წვერი ქუჩაში. ი.ბ. სოფელში 2008 წლის სექტემბერში დაბრუნდა, როცა რუსეთისა და საქართველოს ჯარები ორივე განლაგებული იყო სოფელ კარალეთში. ი.ბ.-მ განაცხადა, რომ მათი მიწის ნაკვეთი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ მოყოლილა, მაგრამ სარწყავი წყლის სათავე ნაგებობა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეა და იმ საღამოს მათ ნაკვეთში დიდი რაოდენობით წყალმა იდინა. ნაკვეთი ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარეობს.

ფოტო: ი.ბ.-ს სახლი.
ფედერაციისა და ცენტრის მისიის წევრები რესპონდენტ ი.ბ.-ს სახლთან ახლოს, სოფელი ქორდი, გორის მუნიციპალიტეტი. ფოტო გადაღებულია 29 ივნისს, 2017 წ©FIDH-HRIDC

რესპონდენტმა დიდი გაჭირვებით უამბო ფედერაციისა და ცენტრის წარმომადგენლებს, რომ

100. ი.ბ.-მ განაცხადა, რომ სამხედროები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, მათ შორის იყვნენ რუსებიც და ჩეჩნებიც. თუმცა, განაცხადა, რომ ვინც მის ქმარს შეურაცხყოფა მიაყენა, რუსი იყო ეროვნებით.

მისი 26 წლის ვაჟი (ნ.ს.) 2016 წლის 28 მაისს გაუჩინარდა და მას შემდეგ აღარ უნახავთ. იმ დროს მათ დიდი რაოდენობით პომიდორი ჰქონდათ დარგული. ოკუპირებული ტერიტორიიდან დიდი რაოდენობით წყალი მიედინებოდა ნაკვეთში, რასაც შეეძლო ჩითილები გაეფუჭებინა. იმ ღამეს როცა ნ.ს. გაუჩინარდა, დაახლოებით საღამოს 8 – 8:30 საათზე, დედას უთხრა, რომ ნაკვეთში მიდიოდა წყლის ნაკადის მიმართულების შესაცვლელად და მალევე დაბრუნდებოდა სახლში ფეხბურთის საყურებლად. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დედამ მეზობელს დაურეკა და მოიკითხა ვაჟიშვილი, მაგრამ არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი. შემდეგ დედა და შვილის მეგობრები გავიდნენ ნ.ს.-ს საძებრად, მაგრამ ის უკვალოდ იყო გამქრალი. დედა იძულებული გახდა, პოლიციისთვის დაერეკა. ი.ბ.-ს განცხადებით, პოლიციამ მოგვიანებით დედას აცნობა, რომ მავთულხლართებთან ახლოს მცხოვრები ადამიანების ჩვენებით, დაახლოებით მაგ დროს საღამოს გამყოფ ხაზთან ახლოს ორი გასროლის ხმა გაიგეს. მეორე დილით მან მავთულხლართზე თოკის ნაგლეჯი იპოვა, მაგრამ ტყვიის მასრები ვერსად ნახეს. დედის განცხადებით, ღობეზე ტალახიანი ნაკვალევი იყო. სავარაუდოდ, მისი შვილი დააკავეს და ის გაქცევას ცდილობდა, რა დროსაც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელობმა მას ესროლეს.

ი.ბ.-მ ინტერვიუ იმ იმედით დაასრულა, რომ ურჩევნია მისი შვილი ტყვეობაში იყოს და „გაიგოს, რომ დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე საერთოდ ვეღარ იპოვოს“.

V - სამართლიანობის აღდგენის იმედი: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების გავლენა 2008 წლის ომის მსხვერპლებზე

ფედერაციის და ცენტრის მისიის წევრთა მიერ გამოკითხული მსხვერპლების უმრავლესობას იმედი აქვს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო შესძლებს 2008 წლის ომის დანაშაულების გამოძიებას და სამართლიანობის აღდგენას. მათ უმრავლესობას, ვინც ჯერ კიდევ საზღვრისპირა სოფლებში ცხოვრობს, ეშინია „მცოცავი საზღვრის“ ანუ ცვალებადი გამყოფი ხაზის. მაგალითად, სოფელ დვანში მსხვერპლებმა მისიის წევრებს განუცხადეს, რომ მომავლის ძალიან ეშინიათ, რადგან გამყოფი ხაზი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შიგნით მოიწევს და ერთ დღეს რუსი სამხედროები მათაც აიძულებენ, დატოვონ სახლები. მათ განაცხადეს, რომ რუსული სამხედრო ბაზები სოფელთან ახლოს გორაზეა განლაგებული და იქიდან მუდმივად უთვალთვალებენ, რაც ადგილობრივებს მუდმივი შიშის პირობებში ამყოფებს. სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, დვანელებმა თქვეს, რომ უნდათ მშვიდობა და შერიგება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ.კ. სოფელ დვანიდან[101], რომელსაც საერთაშორისო სასამართლოს მიმართ დიდი მოლოდინი აქვს და სჯერა, რომ ის ქართველებს დაეხმარება. მან სასამართლოს პროკურორის, ფატუ ბენსუდას გამოსვლა ტელევიზიით იხილა და მისიის წევრებს უთხრა - „მას როცა ტელევიზორში ვხედავ, მგონია, ყველაფერი კარგად იქნება“. მისთვის, სამართლიანობის აღდგენა საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და საზღვრების ერთიანობის აღდგენაა. უფრო მეტიც, გ.კ.-სთვის სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს თავისი დაკარგული ქონების დაბრუნებას და ოს ხალხთან შერიგებას, ასევე დამნაშავეების დასჯას. ნ.ჟ. სოფელ ავლევიდანაც ასე თვლის და ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ომის დამნაშავეების დასჯა, და ამჟამად ეს ვალდებულება საერთაშორისო საზოგადოებას ეკისრება.

მათ მსგავსად, სხვებიც თვლიან, რომ სამართლიანობის აღდგენა საკუთარ სოფლებში დაბრუნება და ომამდე არსებული ცხოვრების პრიობების აღდგენაა. ამავე დროს, რამდენიმე მსხვერპლს სამართლიანობის აღდგენის იმედი აღარ აქვს, რადგან ცხრა წლის მანძილზე არაფერი ხელშესახები წინსვლა არ ყოფილა ამ მხრივ. ისინი იმედგაცრუებულები არიან რადგან ხელისუფლების წარმომადგენლები მათთან შესახვედრად არ მიდიან და არც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ხვდებიან. მაგალითად, ბერბუკის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები სამი მსხვერპლი, რომელთა სურვილი იყო, ანონიმურად დარჩენილიყო მათი სახელები, აცხადებდა, რომ მათ შეძლეს საქართველოს მთავარ პროკურორთან შეხვედრა და ძალიან იმედგაცრუებული დარჩნენ მთელი [გამოძიების] პროცესით. აქედან გამომდინარე, თქვეს, რომ არ სჯერათ სამართლიანობის აღდგენის და არ ენდობიან არც არასამთავრობო ორგანიზაციებს და არც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, „რადგან არც ერთს არ ესმის, რა ხდება რეალურად ადგილზე“.

სოფელ დიცში მცხოვრები რ.დ.-ს თქმით[102], მას არ სჯერა, რომ ვინმე დაისჯება 2008 წლის დროს ჩადენილი ქმედების გამო და მსხვერპლებს არავის იმედი არა აქვთ. მისთვის სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს, რომ დაკარგული ტერიტორიები სრულად დაუბრუნდება საქართველოს. მსხვერპლებს ეშინიათ მომავლის. თ.ჭ. ცერონისიდან ამბობდა, რომ თუ კონფლიქტი განმეორდება, მან და მისმა ოჯახმა არ იციან, რა უნდა გააკეთონ, რადგან - „არსად წასასვლელი ჩვენ არ გვაქვს, ეს არის ჩვენი ერთადერთი სახლი“. მისივე თქმით, „მირჩევნია მოვკვდე აქ, ვიდრე სადმე სხვაგან ვიცხოვრო“. სხვები საუბრობდნენ, რომ ცხოვრობენ „გაყინულ კონფლიქტში“, რაც მათთვის საფრთხის შემცველია, ვინაიდან ამჟამინდელი მშვიდობა „მყიფეა“.

ამას გარდა, გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობისთვის, სამართლიანობის

101. ინტერვიუ გ.კ.-სთან სოფელ დვანში, 30 ივნისი, 2017 წ.

102. ინტერვიუ რ.დ.-სთან სოფელი დიცი, 29 ივნისი, 2017 წ.

აღდგენა, ასევე, ნიშნავს დანგრეული სახლების ან დაკარგული მიწების კომპენსაციას. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულებისთვის დაკარგული ქონების კომპენსაცია ძალიან მნიშვნელოვანია.

სოფელ ცერონისში მცხოვრები ზ.ზ. მისიის წევრებს უამბობს, რომ სოფელში ხალხს ალტერნატიული მიწები მისცეს, როგორც საძოვრების ასევე ნაკვეთების სახით. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ სოფლის ხალხს უნდა აუნაზღაუროს დაკარგული ქონება. თ.ჭ. ცერონისიდან ამბობს, რომ მისთვის სამართლიანობის აღდგენა იქნება თუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე სახლებში დაბრუნდებიან დევნილები, რომლებიც იქიდან იძულებით გამოიქცნენ. მისივე თქმით, ათასობით ადამიანს არ ეძლევა შესაძლებლობა, დაუბრუნდეს საკუთარ სახლს და თვლის, რომ მას და მის ოჯახს გაუმართლა, საკუთარ სახლში მაინც რომ ცხოვრობენ. ინტერვიუ დაასრულა იმედით, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთთან და რუსეთთანაც ძველი ურთიერთობები აღდგება და „ყველა ერთად ვიცხოვრებთ მშვიდობიანად“.

დასკვნები და რეკომენდაციები

ანგარიშის მიხედვით, ნათელი ხდება, რომ 2008 წლის კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის პირადი, ოჯახის ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებები რეგულარულად ირღვევა 2017 წელსაც. უსაფრთხოების არარსებობა, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები მძიმედ აისახება მოქალაქეთა ცხოვრების პირობებზე. მიწისა და ქონების დაკარგვა და შეზღუდვა საკუთრებაზე გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობაზე, თავისუფლად გადაადგილდნენ გამყოფ ხაზზე.

კონფლიქტის დროს უფროსი ასაკის ადამიანებმა ბევრი დამცირება გადაიტანეს. ბევრ მათგანს დღემდე არა აქვს სახლი და ვერ იღებენ სხვაგვარ დახმარებას, როგორიცაა -სამედიცინო ან/და ფსიქო-სოციალური დახმარება. უსაფრთხოდ ცხოვრების შიში კვლავ ფართოდ არის გავრცელებული - გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე მდინარეში უბრალო თევზაობასაც კი შესაძლოა, მძიმე შედეგები მოყვეს. ამას გარდა, როგორც ზემოთ იყო განხილული, მავთულხლართების აღმართვა დიდ გავლენას ახდენს ე.წ. საზღვართან მცხოვრები ადამიანების ცხოვრების პირობებზე. მათ გარდაცვლილი ახლობლების საფლავებზე გასვლის საშუალებაც კი არ ეძლევათ. ამდენად, საქართველოს ხელისუფლების ვალდებულებაც არის **გამოიძიოს თავისი** მოქალაქეების თავისუფლებისა და უსაფრთხოების, გადაადგილების უფლების **ხსენებული დარღვევები** და იმოქმედონ შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონფლიქტით დაზარალებულ ზონაში მცხოვრებთა უსაფრთხოება.

მსხვერპლებთან და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან საუბრიდან გამომდინარე, ფედერაციასა და ცენტრს მიაჩნია, რომ ბევრი რამეა დამოკიდებული საქართველოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ წარმოებულ გამოძიებაზე. ამ გამოძიებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართველებისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. როგორც ამ ანგარიშშია ნათქვამი, გამყოფ ხაზთან ახლოს მცხოვრები ქართველებისა და ოსების შერიგების პერსპექტივა ნაკლებად სავარაუდო ხდება, ვინაიდან ადამიანებს ერთმანეთთან უერთიერთობისა და პრობლემების გაზიარების მცირე საშუალება აქვთ.

ამასთან დაკავშირებით, ფედერაციისა და ცენტრის წარმომადგენლებს სჯერათ, რომ საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება რეგიონში ხელს შეუწყობს 2008 წლის მოვლენების შესახებ სიმართლის დადგენას და მსხვერპლებს დაეხმარება, მოიშუშონ ჭრილობები და შერიგდნენ. საქართველოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლობის ოფისი, პირველადი ინფორმაციით, 2017 წელს უნდა გახსნილიყო. თუმცა, 2017 წლის ოქტომბერში საქართველოში ვიზიტის დროს სასამართლოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ოფისი მუშაობას დაიწყებდა 2018 წლის იანვარში. ოფისს ექნება მნიშვნელოვანი როლი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მანდატისა და საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში და მსხვერპლებთან და დაზარალებულ მოსახლეობასთან კომუნიკაციაში.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები იმედგაცრუებულები არიან ბოლო ცხრა წლის განმავლობაში დამნაშავეთა დაუსჯელობის გამო, ფედერაციის და ცენტრის წარმომადგენლებთან საუბრისას რესპონდენტები მიესალმებოდნენ 2008 წლის კონფლიქტის დამნაშავეთა დასჯას და მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

ფედერაცია და ცენტრი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს რეკომენდაციას აძლევს, პრიორიტეტი მიანიჭოს საქართველოში არსებულ მდგომარეობას პროკურატურის საქმეთა შერჩევის სტრატეგიის შესაბამისად, რათა სასამართლოში წარსადგენ პოტენციურ საქმეებზე საკმარისი რაოდენობის მტკიცებულებები მოგროვდეს.

მსხვერპლთა მონათხრობი ცხადყოფს, რომ ისინი გახდნენ ისეთი დანაშაულების მსხვერპლები, როგორიცაა: მკვლელობა, იძულებითი გადაადგილება, ქონების განადგურება, მაროდიორობა და ამავე დროს, დღესაც განსაცდელში არიან. აღნიშნული დანაშაულები ჩაიდინეს გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე სოფლების უმრავლესობაში,

სადაც მისიის წევრებიც იმყოფებოდნენ და გაესაუბრნენ ადამიანებს. თუმცა, თუ პროკურატურა (OTP) თვლის, რომ ხელმისაწვდომი მტკიცებულებების საფუძველზე ეს საქმეები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება, აღნიშნულის შესახებ მათ დაუყოვნებლივ უნდა მიწოდოს ინფორმაცია მსხვერპლებს.

უფრო მეტიც, ბევრი მსხვერპლი, ვინც ფედერაციის და ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდა, უფროსი ასაკის ადამიანი იყო. ისინი ცხოვრობენ ნამდვილად **უკიდურესად რთულ პირობებში.** ზოგიერთმა მათგანმა ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო ომის დროს. სხვებს, უბრალოდ, არ შეუძლიათ თავის რჩენა, ოჯახის სხვა წევრების შემწეობის გარეშე. ზოგმა დაკარგა მიწა და ახლა ველარ ახერხებს თავის რჩენას და მედიკამენტების ყიდვასაც კი. ამის გამო, ფედერაციას და ცენტრს სჯერა, რომ **საქართველოს ხელისუფლებამ მხედველობაში უნდა მიიღოს ამ ადამიანების აუცილებელი საჭიროებები და მოთხოვნები და აუცილებელი ფინანსური დახმარება გაუწიოს მათ** ისე, რომ ამ ადამიანებმა დარჩენილი სიცოცხლის წლები ღირსეულად გაატარონ. მათ, ვინც დროებით პატარა და ღარიბულად მოწყობილ კოტეჯებში ცხოვრობს, უნდა მიიღოს ღირსეული საცხოვრისი.

ფედერაციის და ცენტრის მისიის დასკვნით, კონფლიქტმა წარუშლელი კვალი დატოვა მსხვერპლებზე. ისინი აგრძლებენ მოწყვლად გარემოში ცხოვრებას. ყველა მათგანი მისიასთან აცხადებდა, რომ ეშინიათ მომავლის და განიცდიან კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. მისიის წევრები შეხვდნენ ათობით მსხვერპლს, რომლებიც აცხადებენ, რომ მიღებული **კომპენსაცია** საკმარისი არ იყო მათი დანგრეული/დამწვარი სახლების აღსადგენადაც და ბევრი კვლავ დანიის ლტოლვილთა საბჭოს ან სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ აშენებულ კოტეჯებში აგრძელებს ცხოვრებას, საკუთარი დანგრეული სახლების ეზოებში. უფრო მეტიც, ბევრმა მიწა, სახლი და შემოსავლის წყარო დაკარგა მას შემდეგ, რაც 2008 წელს გაივლო ადმინისტრაციული გამყოფი ხაზი. არც ერთ მათგანს, ვინც მიწა დაკარგა და მათი ნაკვეთი ახლა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოყვა, საქართველოს ხელისუფლებისგან კომპენსაცია არ მიუღია. ცხადია, ფედერაციის და ცენტრის წარმომადგენლები აცნობიერებენ, რომ აღნიშნული დაკარგული მიწები საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაა, მაგრამ რეალობა ისაა, რომ ადამიანებს აღარ აქვთ წვდომა მათზე, და ამის გამო მათ კომპენსაცია უნდა მიიღონ. ამას გარდა, ადამიანები კვლავ კარგავენ მიწებს „მცოცავი საზღვრის“ გამო, რაც ასევე უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის გადახდას.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ფედერაცია და ცენტრი რეკომენდაციით მიმართავენ:

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს:

საქართველოში სასამართლოს ადგილობრივ ოფისს

ფედერაცია და ცენტრი რეკომენდაციით მიმართავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, გახსნას ეფექტიანი და სრულად აღჭურვილი ადგილობრივი ოფისი საქართველოში. სასამართლოს ბოლოდროინდელი განცხადების თანახმად, ოფისი მუშაობას დაიწყებს 2018 წლის იანვარში და მის ხელმძღვანელად უკვე დანიშნულია დოქტორი კაუპო კანდი[103]. ამდენად, აუცილებელია, რომ ოფისი აღიჭურვოს ყველა შესაბამისი რესურსით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოს მანდატის შესაბამისად გონივრული კომუნიკაციისა და გაცნობითი ხასიათის აქტივობებისთვის. ასევე, მნიშვნელოვანია მსხვერპლთა ჩართულობა სამართლებრივ პროცედურებში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურას

103. იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 28 დეკემბრის განცხადება, „შეხვედრა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან“: http://www.ombudsman.ge/ge/news/shexvedra-sisxlis-samartlis-saertashoriso-sasamartlos-saqartvelos-warmomadgenlobis-xelmdzgvaneltan.page

ფედერაცია და ცენტრი რეკომენდაციას აძლევს სასამართლოს პროკურორს, პრიორიტეტი მიანიჭოს საქართველოში არსებულ მდგომარეობას პროკურატურის საქმეთა შერჩევის სტრატეგიიდან გამომდინარე, მხედველობაში მიიღოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარე ზეგავლენა მსხვერპლებზე, რაც ასევე გულისხმობს საკმარისი რაოდენობის მტკიცებულელების არსებობას სასამართლოსთვის წარსადგენ საქმეებზე. პროკურორმა უნდა შეიმუშაოს კომუნიკაციის სტრატეგია ისე, რომ მხედველობაში მიიღოს ამ სიტუაციაში არსებული მნიშვნელოვანი ფაქტები და უზრუნველყოს მსხვერპლებთან რეგულარული შეხვედრები მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას

მსხვერპლებთან ინტერვიუები და ფედერაციის და ცენტრის წარმომადგენლების საუბარი სამოქალაქო საზოგადოებასთან ცხადყოფს, რომ დაზარალებულ მოსახლეობას მწირი ინფორმაციას აქვს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს როლზე, ბევრი მსხვერპლი მას ურევს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ECtHR). ამის გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ განახორციელოს საფუძვლიანი კამპანია საზოგადოებასთან ურთიერთობის ფარგლებში საქართველოში, რათა დაზარალებულ მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

უფრო მეტიც, ფედერაციამ და ცენტრმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მიიღო ინფორმაცია, რომ ისინი ხვდებიან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს, მათ შორის - მსხვერპლებს, სისხლის სამართლის საერთაშრისო სასამართლოს შესახებ ინფორმირების მიზნით[104]. ამ პროცესს ფედერაცია და ცენტრი დადებითად აფასებს. ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლებაც წარმოადგენს გამოძიების სამიზნეს, 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს მისი სავარაუდო როლის გამო. და მსგავსი სახის შეხვედრები უმჯობესია გაიმართოს უფრო ნეიტრალური მხარის მიერ, როგორიცაა - სამოქალაქო საზოგადოება, საუკეთესო შემთხვევაში კი - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

მსხვერპლთა ჩართულობისა და რეპარაციის განყოფილებას

ფედერაცია და ცენტრი რეკომენდაციას აძლევს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მსხვერპლთა ჩართულობისა და რეპარაციის განყოფილებას (VPRS), მიიღოს ზომები, რათა მსხვერპლებმა იოლად შეძლონ პროცედურებში მონაწილეობა, როცა საბრალდებო დასკვნები მომზადდება საქართველოს სიტუაციაში. ეს უნდა მოიცავდეს პროკურატურის ოფისთან თანამშრომლობას და ნებისმიერი პოტენციური დანაშაულის მსხვერპლთა ადგილმდებარეობის შესახებ რუკის შექმნას. უფრო მეტიც, VPRS-მა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან საქართველოში, რათა გააგებინოს იმ მსხვერპლებს, რომლებიც ვერ შეძლებენ პროცედურებში მონაწილეობას, ვინ და რატომ შეძლებს, დახმარებისთვის მიმართოს მსხვერპლთა ნდობის ფონდს (TFV).

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მსხვერპლთა ნდობის ფონდს (TFV)

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მსხვერპლთა ნდობის ფონდს (TFV) ორი მანდატი აქვს: 1. აღასრულოს სასამართლოს მიერ დადგენილი რეპარაცია; 2.

---

104. იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდი, სადაც გამოქვეყნებულია ინფორმაციები შეხვედრებთან დაკავშირებით: ქარელი, 2017 წ. 5 მაისი: http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6395; გორი, 5 მაისი, 2017 წ.: http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6396; შეხვედრა თსუ-ს სტუდენტებთან, 2017 წ. 8 მაისი: http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6399, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დელეგაციის საინფორმაციო კამპანია საქართველოში, 2017 წ. 16 მაისი: http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6402; შეხვედრები სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან: http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6405; http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6406

მსხვერპლებს და მათ ოჯახებს გაუწიოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მატერიული დახმარება. დახმარების ეს მანდატი უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროცედურებისა და მტკიცებულებების რეგულაციების 98(5) წესის თანახმად. დახმარების მანდატი შედგება სამი ფორმისგან, მათ შორისაა ფიზიკური რეაბილიტაცია, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და მატერიალური დახმარება. საქართველოში მცხოვრები მსხვერპლები ცალსახად ჯდებიან ფონდის დახმარების მანდატში. აქედან გამომდინარე, ფედერაცია და ცენტრი რეკომენდაციით მიმართავს ფონდს, დაიწყოს საჭირო ნაბიჯების გადადგმა, რათა მოხდეს დახმარების პროექტების განხორციელება საქართველოში მყოფი მსხვერპლებისათვის.

საქართველოს ხელისუფლებას

ფედერაცია და ცენტრი რეკომენდაციით ხაზგასმით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ მსხვერპლებს სრულად მიეცეთ კომპენსაცია დაკარგული მიწებისა და განადგურებული საკუთრების სანაცვლოდ. ასევე, კომპენსაცია უნდა მიეცეთ იმ ადამიანებსაც, ვინც ცხოვრობს ოკუპაციის ხაზის ახლოს და დაკარგეს ნაკვეთები გამყოფი ხაზის გავლების შედეგად.

ამას გარდა, ბევრი დაზარალებული საუბრობდა, რომ ვერ მიიღო დანგრეული საკუთრების შესაბამისი კომპენსაცია. მაგალითად, რამდენიმემ განაცხადა, რომ კონფლიქტის დროს რაკი მათი სახლების სახურავები არ ჩამოინგრა, სახელმწიფო მათ არაფრით დახმარებია. ამდენად, აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ხელახლა შეაფასოს გამყოფ ხაზთან ახლოს მცხოვრები დაზარალებული მოსახლეობის მოთხოვნები.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს თანამშრომლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, პროკურატურის ოფისის (OTP) მიერ წარმოებული გამოძიების ფასილიტაციის ფორმით და ასევე, უზრუნველყოს, რომ სასამართლოს რეგისტრატურამ შეასრულოს თავისი მანდატი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და დაზარალებულთა ჩართულობის მიმართულებით.

საქართველოს ხელისუფლებამ, ასევე, უნდა გააგრძელოს 2008 წლის კონფლიქტის დროს ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულების გამოძიება და პასუხისმგებლობაში მისცეს დაბალი რანგის დამნაშავეები, ვინაიდან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ვერ შეძლებს ყველა დამნაშავის დასჯას.

საერთაშორისო საზოგადოებას

ფედერაციას და ცენტრს მიაჩნია, რომ „მცოცავ საზღვართან“ დაკავშირებით კიდევ ბევრია გასაკეთებელი პრობლემის მოგვარების მიზნით. რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიაში უფრო და უფრო ღრმად შეჭრას. ამდენად, უფრო მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო ამის შესაჩერებლად, სიტყვიერი დაგმობის გარდა. ამჯერად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაა პასუხისმგებელი გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიის მონიტორინგზე. მისია ასევე მუშაობს საკუთრების უფლებებზე, გადაადგილების თავისუფლებაზე და კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვაზე. თუმცა, სადამკვირვებლო მისია ვერ შედის სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რაც გარკვეულ დონეზე ამ მისიის ყველა მცდელობას ამაოს ხდის. აქედან გამომდინარე, ფედერაცია და ცენტრი მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, გააძლიეროს ზეწოლა რუსეთზე, რათა მან შეწყვიტოს ე.წ. მცოცავი ოკუპაცია და საქართველოს მოქალაქეთა დაპატიმრებები.

ფედერაციისა და ცენტრის რეკომენდაციაა, ასევე, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ითანამშრომლოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს სიტუაციაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში და ასევე - პოტენციური დაკავების რწმუნების აღსრულებაში.

რუსეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებს

ფედერაცია და ცენტრი მოუწოდებს რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებს, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ, რომ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც კვეთენ გამყოფ ხაზს, არ დაექვემდებარონ უკანონო პატიმრობას და დაჯარიმებას. ფედერაცია და ცენტრი შეშფოთებით აღნიშნავს გამყოფი ხაზის გასწვრივ ეთნიკური ქართველების გაუჩინარების ფაქტებს და მოუწოდებს დე-ფაქტო მთავრობას, ჩაატაროს სათანადო გამოძიება ამ საქმეებზე.

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ, და რუსეთის მთავრობამ, უნდა შეწყვიტონ ბორდერიზაცია, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება საერთაშორისი სამართალს და ასევე - რუსეთს, დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის დადებულ 6-პუნქტიან შეთანხმებას.

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო და რუსეთის ხელისუფლებებმა უნდა გამოიძიონ 2008 წლის ომის დროს ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულები და დასაჯონ დამნაშავეები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან შეთანხმებულად.

უფრო ზოგადად, ფედერაცია და ცენტრი მოუწოდებს ყველა მხარეს, მათი ძალისხმევა მომავალში მიმართული იყოს მშვიდობისკენ და სამართლიანობის აღდგენის პროცესზე, საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების შესაბამისად. ამდენად, საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ადგილზე შეაფასონ სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობა, რათა განხორციელდეს საქმიანობის მონიტორინგი და გაიცეს საჭირო რეკომენდაციები.

დანართი

მსხვერპლების ანონიმური სია, ვისაც 2017 წლის ივნის-ივლისში შეხვდნენ ფედერაციისა და ცენტრის მისიის წევრები

	ინტერვიუს თარიღი	ინტერვიუს ადგილი	სქესი	ასაკი	ჩადენილი დანაშულები
1	26 ივნისი, 2017	ბერბუკის დევნილითა დასახლება	კაცი	50-60	მკვლელობა (დედა), მაროდიორობა, ქონების განადგურება, იძულებითი დევნილობა, დევნა, ქონების მიტაცება
2	26 ივნისი 2017	ბერბუკის დევნილითა დასახლება	ქალი	50-60	მკვლელობა (დედამთილი), მაროდიორობა, ქონების განადგურება, იძულებითი დევნილობა, დევნა, ქონების მიტაცება
3	26 ივნისი 2017	ბერბუკის დევნილითა დასახლება	ქალი	უცნობი	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, დევნა, ქონების მიტაცება
4	26 ივნისი 2017	ბერბუკის დევნილითა დასახლება	ქალი	უცნობი	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, დევნა, ქონების მიტაცება
5	26 ივნისი 2017	ბერბუკის დევნილითა დასახლება	ქალი	უცნობი	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, დევნა, ქონების მიტაცება
6	27 ივნისი 2017	სოფელი კარალეთი	ქალი	65	მკვლელობა (ქმარი), დევნა
7	27 ივნისი 2017	სოფელი ტყვიავი	ქალი	უცნობი	მკვლელობა (ქმარი) , იძულებითი დევნილობა, მაროდიორობა, ქონების განადგურება, დევნა
8	27 ივნისი 2017	სოფელი ტყვიავი	ქალი	55	მკვლელობა (მამა)
9	27 ივნისი 2017	სოფელი ტყვიავი	კაცი	50	მკვლელობა (მამა და ბიძა), მაროდიორობა
10	27 ივნისი 2017	სოფელი ტყვიავი	ქალი	უცნობი	მკვლელობა (მამამთილი და ბიძა), მაროდიორობა
11	27 ივნისი 2017	სოფელი ტყვიავი	ქალი	82	მკვლელობა (ვაჟიშვილი), მაროდიორობა, დევნა
12	28 ივნისი 2017	სოფელი ავლევი	ქალი	50	მკვლელობა (მამამთილი), იძულებითი დევნილობა, მაროდიორობა, დევნა, ქონების მითვისება
13	28 ივნისი 2017	სოფელი ავლევი	კაცი	52	იძულებითი დევნილობა, მაროდიორობა, დევნა, ქონების მითვისება
14	28 ივნისი 2017	სოფელი ავლევი	ქალი	66	იძულებითი დევნილობა, მაროდიორობა, დევნა,
15	28 ივნისი 2017	სოფელი ავლევი	ქალი	62	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
16	28 ივნისი 2017	სოფელი ცერონისი	კაცი	49	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
17	28 ივნისი 2017	სოფელი ცერონისი	ქალი	35	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
18	28 ივნისი 2017	სოფელი ცერონისი	კაცი	46	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მარადიორობა, დევნა
19	28 ივნისი 2017	სოფელი ცერონისი	კაცი	80	ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა

20	28 ივნისი 2017	სოფელი აბისი	კაცი	38	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
21	29 ივნისი 2017	სოფელი დიცი	კაცი	57	ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
22	29 ივნისი 2017	სოფელი დიცი	კაცი	67	წამება, იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
23	29 ივნისი 2017	სოფელი ქორდი	ქალი	51	იძულებით დევნილობა, დევნა
24	29 ივნისი 2017	გორი (მსხვერპლი სოფელ გუგუტიანთკარიდან)	კაცი	44	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
25	29 ივნისი 2017	გორი (მსხვერპლი სოფ. გუგუტიანთკარიდან)	ქალი	65	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
26	29 ივნისი 2017	გორი (მსხვერპლი სოფ. გუგუტიანთკარიდან)	კაცი	70	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
27	30 ივნისი 2017	სო ფ ელ ი დ ვანი	კაცი	63	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
28	30 ივნისი 2017	სოფელი დვანი	ქალი	52	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
29	30 ივნისი 2017	სოფელი დვანი	კაცი	53	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
30	30 ივნისი 2017	სოფელი დვანი	კაცი	62	იძულებითი დევნილობა, დევნა
31	30 ივნისი 2017	სოფელი დვანი	კაცი	59	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
32	30 ივნისი 2017	სოფელი დვანი	ქალი	58	იძულებითი დევნილობა, მაროდიორობა, დევნა, მიწის მისაკუთრება
33	30 ივნისი 2017	სოფელი დვანი	ქალი	58	იძულებითი დევნილობა, ქონების განადგურება, მაროდიორობა, დევნა
34	31 ივნისი 2017	გორი (კონფლიქტის დროს მსხვერპლი გახდა სოფელ მერეთში)	ქალი	47	მკვლელობა (მამა), იძულებითი დევნილობა

MINISTRY FOR FOREIGN AFFAIRS OF FINLAND

პუბლიკაცია მომზადდა ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) და ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC). პუბლიკაცია არ უნდა იქნას აღქმული, როგორც ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციის გამომხატველი.

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH): www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი - SOS წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48

ფაქსი: (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hridc@hridc.org

ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org.

არ დაბუჭოთ თვალი

პუბლიკაციის დირექტორი:
დიმიტრის ქრისტოპულოსი
რედაქტორი:
მარკო სივიუდი
ავტორი:
ანუშკა სეჰმი
კოორდინაცია:
დელფინ კარლენსი
ნინო ტლაშაძე
დიზაინი:
FIDH

fidh

ფაქტების დამდგენი - საგამოძიებო და სადამკვირვებლო სადამკვირვებლო მისიები

სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა - ტრენინგი და გაცვლა

საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზება - ადვოკატირება სამთავრობათაშორისო ორგანოების წინაშე

ინფორმირება და ანგარიშგება - საზოგადოებრივი აზრის მობილიზება

FIDH-თვის, საზოგადოების გარდაქმნა ეყრდნობა ადგილობრივი აქტორების მუშაობას.
საერთაშორისო მოძრაობა ადამიანის უფლებებისათვის მოქმედებს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე, მისი წევრი და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდასაჭერად, ადამიანის უფლებების დარღვევებზე რეაგირებისა და დემოკრატიული პროცესების კონსოლიდირების მიზნით. მისი მუშაობა მიმართულია სახელმწიფოებისა და ძალაუფლების მქონე ჯგუფების მიმართ, როგორიც არის - შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფები და მულტინაციონალური კორპორაციები.

FIDH-ის უპირველესი ბენეფიციარები არიან ეროვნულ დონეზე მოქმედი ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ მოძრაობის წევრებს, ამ ორგანიზაციების საშუალებით კი - უფლებადარღვევების მსხვერპლები. ფედერაცია, ასევე, თანამშრომლობს სხვა ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან და აქტორებთან.

fidh

საკონტაქტო ინფორმაცია:

FIDH
17, პასაჟ დე ლა მეინ დორ
75011 პარიზი
ტელ: (33-1) 43 55 25 18
www.fidh.org
ტვიტერი: @fidh_en / fidh_fr / fidh_es
ფეისბუქი: https://www.facebook.com/FIDH.HumanRights/

Dépôt légal février 2018 - FIDH (Ed. anglaise) ISSN 2225-1804 - Fichier informatique conforme à la loi du 6 janvier 1978 (Déclaration N°330 675)

fidh

FIDH-ის შესახებ

FIDH მოქმედებს უფლებადარღვევების მსხვერპლთა დაცვის, დარღვევების თავიდან აცილებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

ფართო მანდატი

FIDH მუშაობს ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში წარმოდგენილი ყველა უფლების დაცვის მიზნით, მათ შორის, სამოქალაქო და პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.

უნივერსალური მოძრაობა

FIDH დაარსდა 1922 წელს და იგი დღესდღეობით აერთიანებს 184 წევრ ორგანიზაციას 112 ქვეყანაში მთელს მსოფლიოში. FIDH კოორდინაციასა და მხარდაჭერას უწევს მათ საქმიანობას და უზრუნველყოფს მათ პლატფორმით საერთაშორისო დონეზე.

დამოუკიდებელი ორგანიზაცია

წევრი ორგანიზაციების მსგავსად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია არ არის დაკავშირებული რომელიმე პარტიასთან ან რელიგიასთან და დამოუკიდებელია ყველა მთავრობისაგან.